პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 194 (11198) | შაბათი, 23 აგვისტო, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ნ. ხრუშჩოვისა და კ. ვოროშილოვის მისალოცი დეპეშა ამხანაგებს გეორგე გეორგიუ-დეჟს, კივუ სტოიკასა და იონ გეორგე მაურერს (1-ლი გვერდი).

მივცეთ საბჭოთა ადამიანებს მეტი მაღალხარისხოვანი ჩაი (1-ლი გვერდი).

ვ. რევაზიშვილი. — პარტიის რაიკომის ინსტრუქტორთა ორგანიზატორული მუშაობის მაღალი დონისათვის (მე-2 გვერდი).

მეშახტის დღის შესახვედრად. **ბ. ხვადაძე.** — მოდის მესხეთის წიაღისეული — შავი ოქრო (მე-2 გვერდი).

დ. ბიწაძე. — ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე 120 ცენტნერი რძე, 80 ცენტნერი ხორცი (მე-2 გვერდი).

ბ. მახათაძე. — მაღაროელები ეხმარებიან კოლმეურნეობებს (მე-2 გვერდი).

მარად ცოცხლობდეს ჩვენი მეგობრობა რუმინელ ხალხთან! — **სტეფანე პარუშელა.** — რუმინეთის მიწაზე; **ი. კობახიძე.** — რუმინეთი-საქართველოს [illegible] ერთობა; **ვიქტორ კერნბახი.** — ნათესავი მიწოდეთ (მე-3 გვერდი).

საქართველოს მოსწავლე სპორტსმენთა ბრწყინვალე გამარჯვება (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

რუმინელი ხალხის დიდი დღესასწაული

14 წლის წინათ საბჭოთა არმიის ძლევამოსილი შეტევის ხელსაყრელ პირობებში, რუმინელი ხალხის პატრიოტულმა ძალებმა პატრიოტ ჯარისკაცებთან, ოფიცრებთან და გენერლებთან ერთად, რუმინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, შეიარაღებული აჯანყება მოახდინეს.

შეიარაღებული აჯანყება დასაწყისი იყო სახალხო რევოლუციისა, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა. რუმინელმა ხალხმა სამუდამოდ მოიშორა იმპერიალიზმის უღელი, საკუთარ ხელში აიღო თავისი ბედი, შექმნა სახალხო ხელისუფლება და დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას.

ეყრდნობოდა რა მასების მძლავრ ბრძოლას, სახალხო-დემოკრატიულმა მთავრობამ გააჩაღა ფართო საშეურნეო-ორგანიზატორული საქმიანობა სოციალიზმის მშენებლობისათვის. წარმოების ძირითად საშუალებათა ნაციონალიზაციის მეოხებით, რაც 1948 წლის 11 ივნისს განხორციელდა, სოციალისტური სახელმწიფო გახდა ქვეყნის მთელი ეკონომიკის პროგრესის ისეთი ტემპით განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც აღემატება ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მიერ მიღწეულ ტემპებს.

რუმინეთის სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლება ხელმძღვანელობს ლენინური მოძღვრებით სახალხო მეურნეობის განვითარებაში მძიმე მრეწველობის როლის შესახებ. ამრიგად, 1957 წელს მანქანათსამშენებლო მრეწველობის პროდუქცია 7-ჯერ მეტი იყო, ელექტროენერგიის წარმოება — 7,4-ჯერ მეტი, ქიმიური მრეწველობის პროდუქცია — 8-ჯერ მეტი, სამშენ მასალებისა — 9-ჯერ მეტი, გაზის მოპოვება — 15-ჯერ მეტი, ვიდრე 1938 წელს. თუ წარსულში რუმინეთს თავისთვის საჭირო მთელი მანქანებისა და მოწყობილობის 95 პროცენტი გარედან შეჰქონდა, 1957 წელს მანქანების ექსპორტის მოცულობამ ხაზგასმითგარეთიდან მანქანების შემოტანის მოცულობას გადააჭარბა.

რუმინეთის მუშათა პარტიის II ყრილობისა და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებათა შესაბამისად რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ამჟამად უდიდესი ყურადღება ექცევა მრეწველობის ისეთი დარგების განვითარებას, რომლებისთვისაც ქვეყანაში ნედლეულის მტკიცე ბაზა მოიპოვება, სახელდობრ: ნავთობის, ქიმიური, ენერგეტიკული, ფერადი ლითონების, საშენი მასალების მრეწველობის განვითარებას. გათვალისწინებულია ნავთობის მოწყობილობის, საოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებათა წარმოების განვითარება და სპეციალიზაცია. ამჟამად გამალებით წარმოებს საშენებლო სამუშაოები 40 მსხვილ საშრეწველო შენებლობაზე.

დღემდე მიღებული გამოცდილების საფუძველზე, სსრ კავშირის მხრივ დახმარებისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის ყველა ქვეყანას შორის ძმური თანამშრომლობის პირობებში შემუშავებულ იქნა 15 წლის პერსპექტიული გეგმა.

რუმინეთის მუშათა პარტიისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ყურადღების ცენტრშია სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ახალ, სოციალისტურ საწყისებზე, რაც შესაძლებლობას იძლევა დაჩქარდეს და გაძლიერდეს მთელი სოციალისტური მშენებლობა.

აგრარული რეფორმის მეოხებით 1945 წელს შეიქმნა ბაზა სოფლის მეურნეობაში ახალი გარდაქმნებისათვის. რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1949 წ. 3-5 მარტის პლენუმის რეზოლუციამ მთელი ხალხის წინაშე დასახა მიწათმოქმედების სოციალისტური გარდაქმნის ამოცანა. იმავე 1949 წელს ნებაყოფლობის საფუძველზე წარმოიშვნენ პირველი კოლექტიური სასოფლო მეურნეობები, განვითარდნენ და განმტკიცდნენ სახელმწიფო სასოფლო მეურნეობები და მტს-ები. სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორს ახლა რუმინეთის სასოფლო-სამეურნეო ფართობის ნახევარზე მეტი უჭირავს.

იმ დახმარების მეოხებით, რომელიც მშრომელმა გლეხობამ სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოსაგან მიიღო, გაიზარდა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და ამაღლდა მშრომელი გლეხობის ცხოვრების დონე. 1957 წელს აღებულ იქნა 11 მილიონი ტონა მარცვლეული ოთხსწინა ყველაზე მოსავლიანი წლის — 1938 წლის 8,9 მილიონი ტონის ნაცვლად. პირუტყვის სულადობამ 1957 წელს 22 მილიონი შეადგინა 1938 წლის 17 მილიონის ნაცვლად.

სოფლის მეურნეობაში მიღწეულ წარმატებათა შედეგად ამაღლდა ხალხის ცხოვრების დონე. ახლა პურის, ხორცის, შაქრისა და რძის მოხმარება მეტია, ვიდრე წარსულში იყო. მაგალითად, ერთ სულ მოსახლეზე ხორცის მოხმარებამ 1957 წელს მიაღწია 27 კილოგრამს ნაცვლად 1938 წლის 21 კილოგრამისა, ხოლო შაქრის მოხმარებამ 1957 წელს მიაღწია 14,4 კილოგრამს 1938 წლის 5,5 კილოგრამის ნაცვლად.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის მუშაკთა კონსტანცის თათბირზე, რომელიც 1958 წლის აპრილში გაიმართა, დაისახა მთელი რიგი ღონისძიებანი ამ სექტორის შემდგომი განმტკიცებისათვის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადიდებისათვის. დადგენილია, რომ 1960 წლისათვის ხორბლისა და ჰვავის ფართობი აყვანილ უნდა იქნას 3.500.000 ჰექტარამდე, რათა მიღებულ იქნას სულ მცირე 5.500.000 ტონა მარცვლეული, სიმინდის ფართობი 4.000.000 ჰექტარამდე, რათა მიღებულ იქნას სულ მცირე 8-9 მილიონი ტონა. რამდენიმე წელიწადში ხორცის წლიური პროდუქცია აყვანილ უნდა იქნას სულ მცირე 1.300.000 ტონამდე, რძისა — 25.000.000 ლიტრამდე, მატყლისა — 34.000 ტონამდე.

1948 წელთან შედარებით საქონელბრუნვის მოცულობა 1957 წელს 3-ჯერ გაიზარდა. რუმინეთის ნაციონალური შემოსავალი 1957 წელს ერთიორად მეტი იყო, ვიდრე 1938 წელს, ხოლო ხელფასი 1958 წელს 48 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1950 წელს.

სახელმწიფო ხარჯები სოციალურ-კულტურულ საჭიროებებზე 1957 წელს სამჯერ გაიზარდა 1950 წელთან შედარებით. უზრუნველყოფილია შრომელთა დასვენების უფლება. 1958 წელს კურორტებზე გაიგზავნა 460.000 მშრომელი და 60.000 ბავშვი. ამჟამად რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ერთი ექიმია 800 მცხოვრებზე. წერა-კითხვის უცოდინარობა, როგორც მასობრივი მოვლენა, ლიკვიდირებულია. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახლა 2 მილიონი მოსწავლეა, უმაღლეს სასწავლებლებში — 80.000-მდე სტუდენტი. დედისა და ბავშვის დაცვის დაწესებულებები მთელ საჭირო დახმარებას იღებენ სახელმწიფოსაგან.

მეცნიერულმა მოღვაწეობამ რუმინეთში ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომლებიც აღიარებულია მთელ მსოფლიოში. დაფასებულია რუმინელ მეცნიერთა დამსახურებაც მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში. 60 რუმინელმა მეცნიერმა 150 აკადემიური წოდება მიიღო 20 ქვეყანაში.

აყვავებულია ლიტერატურა და ხელოვნება. გამოჩენილ რუმინელ მწერალთა ნაწარმოებებს ახლა მსოფლიოს 33 ენაზე კითხულობენ.

წარმატებანი, რომლებსაც რუმინელმა ხალხმა განთავისუფლების შემდეგ 14 წლის მანძილზე მიაღწია, მოწმობენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების უძლეველობას, სოციალისტური წყობილების უპირატესობას კაპიტალისტური წყობილების წინაშე.

თავის დიდ მიღწევებს რუმინელი ხალხი უნდა უმადლოდეს საბჭოთა კავშირის უანგარო, ძმურ დახმარებას და რუმინეთის მუშათა პარტიის ბრძნულ ლენინურ პოლიტიკას, რომელიც ხალხის ძირეული ინტერესებიდან გამომდის და რომელსაც ხალხი ახორციელებს. რუმინელი ხალხის გადამწყვეტი წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში, რომლებიც მიღწეულია პარტიის ხელმძღვანელობით, განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ნაყოფიერ თანამშრომლობასთან.

რუმინელმა ხალხმა იცის, რომ მისი დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა სოციალისტური ბანაკის არსებობა დიდი და მძლავრი საბჭოთა კავშირის მეთაურობით, ამ ბანაკის ყველა ქვეყნის ურთიერთობა.

ბუქარესტი. დიდი ეროვნული კრების შენობა.

ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟს
რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ კივუ სტოიკას
რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ იონ გეორგე მაურერს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გულითადად მოგილოცავთ თქვენ და თქვენი სახით მთელ რუმინელ ხალხს ეროვნულ დღესასწაულს — ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების დღეს.

საბჭოთა ადამიანები განიცდიან სიამაყის გრძნობას მომძე რუმინელი ხალხისათვის, რომელმაც რუმინეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით მოიშორა საზიზღარი ფაშიზმის უღელი, დაამყარა სახალხო ხელისუფლება და მტკიცე რწმენით მიდის სოციალიზმის მშენებლობის გზით. მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის თავდადებული შრომის მეოხებით რუმინეთის სახალხო რესპუბლიკამ განვლილი 14 წლის მანძილზე შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა ეკონომიკის, კულტურის განვითარებაში და მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებაში.

თქვენი ქვეყნის წარმატებები თვალნათლივ გვიჩვენებენ, თუ რა უპირატესობები და შესაძლებლობანი ისახება იმ ხალხის წინაშე, რომელმაც თავის ხელში აიღო ძალაუფლება და განუხრელად მიდის ახალი ცხოვრების მშენებლობის გზით. ეს წარმატებები დამაჯერებლად ადასტურებენ პრაქტიკით სახალხო-დემოკრატიული წყობილების ცხოველუნარიანობას და მარქსიზმ-ლენინიზმის შთამაგონებელი იდეების დიად გარდამქმნელ ძალას.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელნი სოციალისტური ქვეყნების მომძე ხალხთა ერთიან ოჯახში აქტიურად იბრძვიან სოციალისტური ბანაკის შემდგომი განმტკიცებისათვის. სოციალიზმის ბანაკის ურყევი ძლიერება და ერთიანობა სოციალისტური ქვეყნების შემდგომ წარმატებათა საიმედო გარანტიაა, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების გარანტიაა იმპერიალისტ აგრესორთა ყოველგვარი ხრიკების წინააღმდეგ.

თანმიმდევრულად ახორციელებს რა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკამ დიდი წარმატებანი მოიპოვა მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში და ღირსეული წვლილი შეაქვს მშვიდობისათვის ბრძოლის საერთო საქმეში. ამას მოწმობს სოციალისტური რუმინეთის გაზრდილი საერთაშორისო ურთიერთობა და ავტორიტეტი.

დღითიდღე იზრდება და მტკიცდება ყოველმხრივი თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის, რომელსაც საფუძვლად უდევს ძმური ურთიერთდახმარება, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის სრული პატივისცემა. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული საბჭოთა კავშირი კვლავაც განუხრელად განავითარებს მეგობრობასა და თანამშრომლობას სახალხო დემოკრატიულ რუმინეთთან საბჭოთა და რუმინელი ხალხების ინტერესებისათვის, სოციალიზმის ბანაკის ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სულითა და გულით უსურვებენ რუმინეთის მუშათა პარტიას, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, პირადად თქვენ და მთელ შრომისმოყვარე რუმინელ ხალხს შემდგომ წარმატებებს თქვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის კეთილშობილურ საქმეში.

გაუმარჯოს და განმტკიცდეს საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და სოციალიზმის ძალების განმტკიცების საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. ხრუშჩოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი

მოსკოვი, კრემლი. 1958 წლის 22 აგვისტო.

მივცეთ საბჭოთა ადამიანებს მეტი მაღალხარისხოვანი ჩაი

★

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება 1958 წლის 20 აგვისტოსათვის

საქართველოს სს რესპუბლიკაში 1958 წლის 20 აგვისტოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 86,9 პროცენტით. მიმდინარე წლის 20 აგვისტოსათვის დამზადებულია 22.000 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ვიდრე გასული წლის იმავე თარიღისათვის.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და საქართველოს ცალკეულ რაიონებში გეგმის შესრულება შეადგენს პროცენტობით:

აფხაზეთის ასსრ	— 92,2
აჭარის ასსრ	— 84,5
მახარაძის რაიონი	— 85,9
ჩობალავარის „	— 81,3
ლანჩხუთის „	— 79,5
სამტრედიის „	— 84,6
წულუკიძის „	— 88,7
ქუთაისის „	— 100,0
წყალტუბოს „	— 103,6
ტყიბულის „	— 114,5
ცხაკაიას „	— 77,5
აბაშის „	— 77,9
გიგეჩკორის „	— 81,5
ზუგდიდის „	— 88,2
წალენჯიხის „	— 89,3
ჩხოროწყუს „	— 86,6
ხობის „	— 88,4
თერჯოლის „	— 114,5
ზესტაფონის „	— 68,8
ჭიათურის „	— 147,5
ვანის „	— 105,0

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

დაწინაურებულნი

ქობულეთი. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ოჩხამურის ი. ბ. სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობა. მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ჩაის კრეფაში წარმატებას აღწევენ აგრეთვე ცეცხლაურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშები. ბევრმა უკვე შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა. ე. კარაპეტიანს ჩაის კრეფის წლიური გეგმის გადამეტებით მოკრეფილი აქვს 410 კილოგრამი, ნ. დუნაევას — 240 კილოგრამი, ვ. ჩავლეიშვილს — 200 კილოგრამი და სხვ.

მეურნეობის კოლექტივის ვალდებულებაა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს ათობით ტონა ჩაის ფოთოლი.

სურათზე: მახარაძის რაიონის სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის „გზა კომუნიზმისაკენ“ მოწინავე მეჩაიე ელიკო ბაკურაძე.

ციალა მშველიძის წარმატება

მახარაძის რაიონის ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის მოყვანის ცნობილ ოსტატებს გვერდში ამოუდგნენ ახალგაზრდა მეჩაიეები. მათ შორის აღსანიშნავია ციალა მშველიძის დაუცხრომელი საქმიანობა.

ციალას მოსავლელად მიმაგრებული აქვს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. ახალგაზრდა მეჩაიე თვალისჩინივით უვლის მას, ფოთოლს კრეფს განუწყვეტლივ, ამინდის ყოველგვარ პირობებში. ამიტომ მის ნაკვეთში ვერ ნახავთ გადაუხეშებულ ჩაის ფოთოლს.

ც. მშველიძემ გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა: 3 ათასი კილოგრამის ნაცვლად მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 3.200 კილოგრამი.

აფხაზეთის მეჩაიეთა მიმართვის პასუხად ახალგაზრდა მეჩაიემ ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 1.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ნ. ჟინჟლაძე,
მრავალტირაჟიანი გაზეთის „ნატანებელი კოლმეურნის“ რედაქტორი.

წლიური დავალება შეასრულეს

ვანისა და თერჯოლის რაიონებში დიდი ხანი არ არის რაც მისდევენ ჩაის მოყვანას.

ჩაის კრეფის მომდინარე წლის გეგმა რაიონის მეჩაიეებმა 15 აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეასრულეს.

აფხაზეთის მეჩაიეთა მიმართვის პასუხად მათ ახალი ვალდებულებები იკისრეს.

★

გეგმის გადამეტებით

ლანჩხუთი. რაიონის მეჩაიეებში შრომითი აღმავლობა გამოიწვია აფხაზეთის მეჩაიეთა მიმართვამ. მიმართვის ტექსტს მშრომელებს აგიტატორები აცნობენ.

სოფელ ქვემო აკეთის კოლმეურნეობამ უკვე მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 335 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს კი 52 ტონით მეტია შარშან ამავე პერიოდში მოკრეფილზე.

ჩაის კრეფაში წარმატებას აღწევენ მე-4 და მე-6 ბრიგადები. მათ ჩაის კრეფის წლიური გეგმები 20 აგვისტოსათვის უკვე გაანაღდეს. მეჩაიე თეო გოგელიას დღეისათვის ნაცვლად 2.400 კილოგრამისა მოკრეფილი აქვს 2.656 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ახალგაზრდა მეჩაიე ზ. ღლონტმა გეგმის გადამეტებით მოკრიფა 310 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო ლ. თოდრიამ — 600 კილოგრამი.

ქვემოაკეთლებმა ჰექტარ ჩაის პლანტაციაში უკვე მოკრიფეს 3.620 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ნედლეული.

აფხაზეთის მეჩაიეთა მიმართვის პასუხად კოლმეურნეობამ ვალდებულება აიღო გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 50 ტონა ჩაის ფოთოლი.

სოფელ ზემო ჩიბათის კოლმეურნეთა ვალდებულებაა გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 10 ტონა ჩაის ფოთოლი. გადიდებული ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე ხიდმაღალის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა.

ვალდებულებათა განაღდებისათვის

წულუკიძის რაიონის მეჩაიეებმა წელს გეგმით 2.250 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფონ. მათ უკვე მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 1.896 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

რაიონის მეჩაიეებმა აფხაზეთის მეჩაიეთა მიმართვის პასუხად ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 370 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება.

ᲧᲝᲕᲔᲚ 100 ᲰᲔᲥᲢᲐᲠ ᲡᲐᲕᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲖᲔ 120 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ ᲠᲫᲔ, 80 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ ᲮᲝᲠᲪᲘ

კურზუ გეგეჭკორის რაიონის მთიანი სოფელია. აქ ძველთაგანვე მისდევენ მომთაბარე მეცხოველეობას. ზამთრობით პირუტყვი ჭალადიდის საძოვრებზე ჰყავთ, ზაფხულობით — მთებში, ალპურ საძოვრებზე.

ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მეცხოველეობა ახლაც წამყვანი დარგია. აქ გაჩაღებულია ბრძოლა იმისათვის, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძის, კარაქის წარმოების მხრივ. პირუტყვის მოვლა-პატრონობა კოლმეურნეთა მთავარი საზრუნავია. ეს ამოცანა წარმატებით წყდება.

ამაზე მეტყველებენ კოლმეურნეობის მაჩვენებლები. შარშან კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა შეასრულა მეცხოველეობის განვითარების გეგმა. ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე ხორცის წარმოებამ შეადგინა 60 ცენტნერი, რძისამ — 100 ცენტნერი. ამ მაჩვენებლებისათვის კოლმეურნეობას 1960 წელს უნდა მიეღწია. მეცხოველეობის ფულადმა შემოსავალმა ნახევარი მილიონი მანეთი შეადგინა.

მოპოვებულმა გამარჯვებამ აღაფრთოვანა კურზუელი მეცხოველეები. ისინი სამეურნეო წლის დასაწყისში ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე მივიღებთ 80 ცენტნერ ხორცს, 120 ცენტნერ რძეს — ასეთი პირობა დადეს მათ. ფერმებში იმთავითვე ენერგიული საქმიანობა გაჩაღდა.

კოლმეურნეები სიტყვას საქმედ აქცევენ. მათ უკვე გაანაღდეს ხორცის წარმოების ნაკისრი ვალდებულება, ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე მიღებულია 80 ცენტნერი ხორცი. რძის წარმოების ვალდებულებაც მალე შესრულდება. 15 აგვისტოსათვის 100 ჰექტარ სავარგულებზე 100 ცენტნერზე მეტი რძე იყო მიღებული. ხორცის წარმოებისათვის აქ იყენებენ მნიშვნელოვან რეზერვს — ფართოდ ავითარებენ მეღორეობასა და მეთხეობას.

ასეთ წარმატებას მეცხოველეები დაუღალავი, შეუპოვარი შრომით აღწევენ. ისინი ყოველდღიურად აუმჯობესებენ პირუტყვის მოვლა-შენახვისა და კვების რეჟიმს.

ამისათვის მეძროხეობის ფერმის გამგე კომუნისტი გ. ჯოჯუა, ბრიგადირები და მომვლელები ა. თოდუა, ვ. გაბისონია, ბ. ბერულავა, ვ. ნაჭყებია და სხვ. სრულყოფილად იყენებენ პირუტყვის მოვლის მოწინავე ზოოტექნიკურ მეთოდებს, ეძებენ ახალ ხერხებსა და საშუალებებს, გაბედულად ნერგავენ მას. ამ საქმეში მათ ენერგიულად უწყობს ხელს გამოცდილი ზოოტექნიკოსი კომუნისტი ვ. ბობოხიძე.

ნაყოფიერად იყენებენ საძოვრებს, ყოველ გაზაფხულზე წმენდნენ მათ ბუჩქნარ-ძეძვნარისაგან. გასული წლიდან აქ შემოიღეს პირუტყვის ნაკვეთმორიგეობითი ძოვება, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა საძოვრების ნაყოფიერება. განხორციელდა აგრეთვე ნებისმიერი სადღეღამისო ძოვება. მეცხოველეები ამბობენ, რომ ამ ღონისძიებებმა 20-25 პროცენტით გაზარდა ძროხის წველადობა.

ძროხებს უხვად აძლევენ აგრეთვე კონცენტრირებულ საკვებს. არტელის გამგეობა (თავმჯდომარე კ. ხარებავა) საკვების დამზადებას მთელი ყურადღებით ეკიდება. ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ამზადებენ სილოსს, გამოჰყოფენ ფურაჟს, იძენენ კოპტონს, ქატოს. ძროხებს სალოკავად მუდამ აქვთ მარილი. ერთი სიტყვით, ძროხებს არაფერი არ აკლიათ. ამაგიც უფასდებათ მომვლელებს — რძეს უხვად იღებენ. ფერმაში ბერწიანობის შემთხვევები იშვიათია. წელს, მაგალითად, გეგმის გადამეტებით აქ ათობით ხბო გაზარდეს.

მოწინავე მეთოდები კურზუელებს დაეხმარა შეამცირონ მატერიალური და შრომითი დანახარჯები პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე. მაგალითად, თუ 1953 წელს ლიტრი რძე დაუჯდათ 3 შრომადღე და 5 მანეთი ფულად, ხოლო კილოგრამი ხორცი — 6 შრომადღე და 11 მანეთი, შარშან ლიტრი რძე დაჯდა 0,2 შრომადღე, ერთი მანეთი და 10 კაპიკი ფულად, ხორცი — 0,5 შრომადღე და 2 მანეთამდე ფულად.

კოლმეურნეები პირნათლად იხდიან ვალს სახელმწიფოს წინაშე. წელს სახელმწიფოს მიყიდიან 70 ათას კილოგრამ რძეს და 27 ათას კილოგრამ ხორცს. ამ რაოდენობის ორ მესამედზე მეტი უკვე მიყიდეს. მეცხოველეობის პროდუქტებს დამზადების ახალი წესის მიხედვით აბარებენ სახელმწიფოს. პროდუქტებს საკოლმეურნეო ბაზარშიც გაჰყიდიან. ამ დარგის შემოსავალი წელს 700 ათას მანეთს გადააჭარბებს.

მეცხოველეობის განვითარების საქმეში ნაკლოვანებებიც საკმაოდ გვაქვს, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ა. ხარებავა, რომელიც არტელს რამდენიმე წელია უნარიანად ხელმძღვანელობს. — ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული ყველა შესაძლებლობა. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს მეფრინველეობაში. ამ ნაკლოვანებებსაც გამოვასწორებთ და მეცხოველეობის ყველა დარგს მაღალრენტაბელურს გავხდით.

კურზუელებმა დანაპირები სინამდვილედ უნდა აქციონ.

დ. ᲑᲘᲬᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ



შასის საამქროს კოლექტივში სიყვარულით სარგებლობს მე-8 უბნის მბურღავი ბაბუცა ლაკლაკიშვილი, რომელიც ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში სოფელ არგვეთის 7-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა.

ბ. ლაკლაკიშვილი პირველად მბურღავის მოწაფედ მუშაობდა, ახლა კი მბურღავია. ბ. ლაკლაკიშვილი ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს სისტემატურად 200-250 პროცენტით ასრულებს.

— დიდად მახარებს ის, — ამბობს ბაბუცა, — რომ კონვეიერიდან ჩამოსულ თვითეულ ქუთაისურ ავტომობილში ჩემი შრომითი წვლილიც არის, რომ მანქანის ათასობით დეტალში ჩემ მიერ დამზადებული დეტალებიც ურევია. საწარმოში ბევრი მეგობარი მყავს. მათგან ჩემთვის ერთ-ერთი უძვირფასესია რუსი ქალაშვილი გულნარა კიბალნიკი, რომლისგანაც ბევრი რამ კარგი ვისწავლე. ჩემი მიზანია წარმოებისაგან მოუწყვეტლივ უმაღლესი ტექნიკური განათლება მივიღო.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ქუთაისის ავტოქარხნის შასის საამქროს ხარატები ბ. ლაკლაკიშვილი (მარჯვნივ) და გ. კიბალნიკი.

ტექსტი და ფოტო გ. გოგოხიასი.

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲓᲔᲑᲘ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲡ

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივი ქმედით დახმარებას უწევს საშეფო კოლმეურნეობებს. მაღაროელებმა ზედა ითხვისის სახელობის კოლმეურნეობას რამდენიმე დღით ათხოვეს ტრაქტორი და დაუხნეს 7 ჰექტარი ფართობი. 125 მაღაროელმა მონაწილეობა მიიღო საოფლო-სამეურნეო სამუშაოებში.

სოფელ ქვედა ითხვისის კოლმეურნეობაში 145 მაღაროელმა იმუშავა. კოლმეურნეობის გამგეობის თხოვნით ხორბლის აღების დროს გაიგზავნა 7 მუშა. ისინი წინათ მოწინავე მცელავები იყვნენ, ახლა მაღაროს კვალიფიციური მუშები არიან. სოფელ დარკვეთის კოლმეურნეობას პირველი და მეორე მარგვლის დროს 120 მუშა დაეხმარა.

საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობაში თავი ისახელეს მოწინავე მუშებმა ი. ღუღუნიშვილმ ა, უ. ღუღუნიშვილმა, ლ. სხირტლაძემ, ე. ყაველაშვილმა, ნ. დვალმა, ა. ყაველაშვილმა, მ. ხახიშვილმა, ტ. იაკობიძემ, ა. იაკობიძემ და სხვებმა.

მაღაროს კოლექტივი სერიოზულ დახმარებას უწევს საოფლო საბჭოებს და კოლმეურნეობებს საშენი მასალებით უზრუნველყოფის საქმეში, ეხმარება სკოლებსაც. მაგალითად, სოფელ ზოდის საშუალო სკოლას გაუკეთეს კაპიტალური რემონტი. ამასთან პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესების მიზნით სკოლას აუშენეს სასწავლო სახელოსნო და გადასცეს სახარატო ჩარხი.

დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივი შემდეგში კიდევ მეტ დახმარებას გაუწევს საშეფო კოლმეურნეობებსა და სკოლებს.

ბ. ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ,
დიმიტროვის სახელობის მაღაროს პარტორგანიზაციის მიწოს მდივანი.

ᲞᲚᲐᲡᲢᲛᲐᲡᲐ ᲓᲘᲗᲝᲜᲡ ᲪᲕᲚᲘᲡ

თბილისის ელექტროტექნიკური ქარხნის კოლექტივი სხვადასხვა ხელსაწყოების დასამზადებლად ფართოდ იყენებს პლასტმასებს. ამას წინათ ქარხანამ ქალაქ ჩკალოვიდან მიიღო 100-ტონიანი წნეხი, პლასტმასისაგან ნაწილების დასამზადებლად.

ქარხანა დიდი რაოდენობით ამზადებს ელექტროკლიტეებსა და ელექტროგასაღებებს. წინათ მათს კორპუსებს ებონიტისაგან ვაკეთებდით, რისთვისაც ვამუშავებდით სახარატო და სახვრეტ ჩარხებზე. ახლა ამ კორპუსებს პლასტმასისაგან ვამზადებთ დაწნეხვის საშუალებით. ასევე ლითონისაგან ვამზადებდით ტიტეტვა რელეს, რომელსაც წევის ქვესადგურებში იყენებენ. ახლა რელეს კორპუსებს პლასტმასისაგან ვაკეთებთ. სამუშაოზე ნაკლები დროც იხარჯება და პროდუქციის ხარისხიც უკეთესია.

Ი. ᲑᲔᲒᲔᲨᲘᲫᲔ,
ქარხნის ტექნიკური კონტროლის მომლები.

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲠᲘ. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებში ფართოდ გაიშალა სასოფლო მაღაზიების მშენებლობა. კოლმეურნეობები თავიანთი სახსრებით და ძალებით აგებენ სამრეწველო საქონლისა და სასურსათო მაღაზიებს.

კეთილმოწყობილი სასოფლო მაღაზიების მშენებლობა მალე დამთავრდება ლენინგორის რაიონის სოფლების წინგორის, აბრეგისა და ძუკათიყაუს კოლმეურნეობებში. მაღაზიების მშენებლობას შეუდგნენ სტალინირის რაიონის სოფლების ერედვისა და აჩაბეთის კოლმეურნეობები. მთის პატარა სოფელ ვანათში დაიწყო პურის საცხობის მშენებლობა.

ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲝᲤᲔᲚᲛᲐ ᲡᲐᲮᲔ ᲘᲪᲕᲐᲚᲐ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). ცუცხვათი ყველაზე დიდი სოფელია ტყიბულის რაიონში. ამჟამად მის ცენტრს ამშენებს ორსართულიანი საკოლმეურნეო კანტორა, საშუალო სკოლა, სასოფლო საადგმყოფო, ორასადგილიანი კლუბი, მასწავლებელთა სახლი. მუშაობს პურის საცხობი და ორი აბანო.

ამ რამდენიმე ხნის წინათ აქ დაიწყეს ახალი საშუალო სკოლის მშენებლობა, რომელიც მილიონ მანეთზე მეტი ჯდება. მალე დამთავრდება აგურის ორსართულიანი შენობის აგება, რომლის მეორე სართულზე მოეწყობა სოფლის მაღაზია, ხოლო პირველზე — საწყობი. სწრაფი ტემპით წარმოებს ელექტროფიკაციის სამუშაოები. მრავალი კოლმეურნის ოჯახში სულ მალე აინთება ელნათურები.

მეშახტის დღის ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲔᲑᲐᲓᲘ

ᲛᲝᲚᲓᲘᲡ ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲐᲦᲘᲡᲔᲣᲚᲘ — ᲨᲐᲕᲘ ᲝᲥᲠᲝ

განახლებული მესხეთის — სამხრეთ საქართველოს ამ თვალწარმტაცი მხარის ერთ-ერთი მშვენებაა მთის ფერდობებზე შეფენილი, მწვანე სამოსელში ჩაფლული მეშახტეთა დაბა ვალე.

დიდი სამამულო ომის მძვინვარე დღეებში, როცა ქვეყანას განსაკუთრებით სჭირდებოდა ენერგეტიკული ქვანახშირი, ვალეს მიდამოებს ეწვივნენ ქვანახშირის მაძიებლები, შახტმშენებლები. მალე მწყობრში ჩადგა ახალი შახტები, რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრებისაკენ დაიძრნენ მესხეთის ქვანახშირით დატვირთული ეშელონები.

ენერგიულად შრომობენ ახალციხელი მეშახტეები. შარშან მათ გეგმის გადამეტებით 25.339 ტონა ქვანახშირი ამოიღეს, ამასთან 3,8 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება.

წელს მეშახტის დღეს სახელოვანი მიღწევებით ხვდება № 2 შახტის კოლექტივი (უფროსი ს. ანისონიანი), რომელმაც 117,9 პროცენტით გაანაღდა ქვანახშირის ამოღების 7 თვის დავალება, გადაჭარბებით შეასრულა სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ტონა ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების გეგმები.

შახტში ბევრია დონბასელი მეშახტის ნიკოლოზ მამაის მიმდევარი. მეორე საეკსპლოატაციო უბნის მნგრეველთა ბრიგადამ, რომელსაც დ. გრიგალაშვილი ხელმძღვანელობს, 7 თვეში ხელმწიფოს გეგმის გადამეტებით 2.700 ტონა ქვანახშირი მისცა. მოწინავე მნგრეველები გ. ხარაზიშვილი და ნ. ბრეგაძე ცვლაში ხუთ-ხუთ ტონა ქვანახშირს იღებენ ნორმის გადამეტებით. ბრიგადის წევრები თავდადებულად იბრძვიან, რომ მეშახტის დღისათვის გეგმის გადამეტებით 3.100 ტონა ქვანახშირი ამოიღონ.

ნაყოფიერ, თავდადებულ შრომაზე მეტყველებს მნგრეველების ა. შუბითიძის, ს. გურგენიანის, ვ. ფაშოიანისა და ვ. ხარაიშვილის მიღწევები. ისინი ახლა 1959 წლის ანგარიშში მუშაობენ.

მომჰირნეობისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში თავი ისახელა ამავე შახტის მებიგეთა ბრიგადამ (ბრიგადირი ა. ოსკანიანი), რომელიც სამაგრი მასალების ხელმეორედ გამოყენებით ყოველთვიურად 20-25 კუბმეტრ მასალას ზოგავს.

№ 2 შახტის კოლექტივის მიღწევებზე დაწვრილებით გვესაუბრა ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს მმართველის მოადგილე ვ. რევაზიშვილი.

— № 2 შახტში, — თქვა მან, — წელს საგრძნობლად გაიზარდა სამთო გამონამუშევრების მოცულობა და ქვანახშირის მოპოვება. ეს იმის შედეგია, რომ შახტში განმტკიცდა შრომის დისციპლინა, წარმოებაში ინერგება ყოველი ახალი, პროგრესული. წელს 18 რაციონალიზატორული წინადადება განხორციელდა, რამ დიდად შეუწყო ხელი პროდუქციის გამოშვების გადიდებას.

სამწუხაროდ, მუშაობაში სერიოზული ნაკლიც გვაქვს. სამართლიანად გვისაყვედურებენ ქვანახშირის ნაცრიანობაზე. ქვანახშირის ამოღების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმებს ვერ ასრულებენ № 1 და № 3 შახტების კოლექტივები. ეს გამოწვეულია იმით, რომ შახტების ხელმძღვანელები სათანადოდ არ იბრძვიან შრომის მწესრიგებისათვის, ნოგა ტორ მეშახტეთა გამოცდილების დანერგვისათვის. აქ მოსამზადებელ სამუშაოთა ჩამორჩენას ისიც იწვევს, რომ საქართველოს ქვანახშირის კომბინატი ცუდად გვამარაგებს სამაგრი ლითონით, რომელზეც ჩვენთან დიდი მოთხოვნილებაა.

ახალციხელი მეშახტეები იბრძვიან იმისათვის, რომ პირნათლად გაანაღდონ ნაკისრი ვალდებულებანი — ვადაზე ადრე შეასრულონ ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით მიაღწიონ ცენტ სამშობლოს ათასობით ტონა ქვანახშირი.

Ჯ. ᲮᲕᲐᲚᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.



ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. მეტალურგთა ახალი საცხოვრებელი სახლი.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

Ვ. ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს კპ კაჩრეთის რაიკომის პირველი მდივანი.

ყოველწლიურად იზრდება კაჩრეთის რაიონის სოფლის მეურნეობა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდგომ განვლილ პერიოდში კოლმეურნეობები მეურნეობრივად და ორგანიზაციულად განმტკიცდნენ. განსაკუთრებით კეთილსასურველი გავლენა იქონია სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობაზე მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციამ, რაც ამ რამდენიმე თვის წინათ განხორციელდა. ახლა რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე მთელი ძალით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. მინდვრებსა და ვენახებში უხვი მოსავალი მწიფდება. მეცხოველეები დღითიდღე აძლიერებენ ბრძოლას მაღალი პროდუქტიულობისათვის.

ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი, რომლებიც თვალნათლივ ცხადყოფენ კოლმეურნეობათა ეკონომიკის განუხრელ ზრდას. თუ 1953 წელს რაიონის კოლმეურნეობებმა მიიღეს 9.158 ათასი მანეთი ფულადი შემოსავალი, 1957 წელს ამ შემოსავალმა 18.555 ათასი მანეთი შეადგინა. შესაბამისად გაიზარდა კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები — 22.977 ათასი მანეთიდან 33.468 ათას მანეთამდე. მარტო შარშან კოლმეურნეობებმა განუყოფელ ფონდში გადარიცხეს 3.200 ათასი მანეთი.

კოლმეურნეობათა ნატურალური და ფულადი შემოსავლის განუხრელი ზრდა შესაძლებელი გახდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრი ამაღლებით. მაგალითად, შარშან რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 17,2 ცენტნერი სიმინდი (მარცვლად), მაშინ როცა წინა წლებში ამ კულტურის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 8-13 ცენტნერს არ აღემატებოდა.

იმ დიდმა ღონისძიებებმა, რომლებიც ახლა სოფლად ხორციელდება მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციასა და პარტიის რაიკომის აპარატის სტრუქტურის გარდაქმნასთან დაკავშირებით და რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება, პარტიის რაიკომისაგან მოითხოვა მისი მუშაობის სტილისა და მეთოდების შეცვლა, ქმედითი და ოპერატიული ხელმძღვანელობა. ახლა ინსტრუქტორები მიმაგრებული არიან კოლმეურნეობათა განსაზღვრულ ჯგუფზე და ხშირად იმყოფებიან საწარმოო ბრიგადებში, მეცხოველეობის ფერმებში. ადამიანებთან სიახლოვე ინსტრუქტორებს საშუალებას აძლევს კარგად გაერკვნენ მათს პირად თვისებებში, შეისწავლონ მუშაკთა პოლიტიკური და საქმიანი მხარეები, პირადი საჭიროებანი, დროულად აღმოუჩინონ კონკრეტული დახმარება. აი როგორ მუშაობს, მაგალითად, რაიკომის ინსტრუქტორი გ. კვეზერელი. წელს ინსტრუქტორის პირველი საზრუნავი იყო საგაზაფხულო ხვნა-თესვის წარმატებით ჩატარება, ამ საქმისათვის კოლმეურნეთა დარაზმვა. ამ მიზნის განხორციელებას მისი ზონის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში — კაჩრეთის კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში — ხელს უშლიდა შრომის ორგანიზაციის დაბალი დონე. მან დაწვრილებით შეისწავლა ამ მხრივ კოლმეურნეობაში არსებული მდგომარეობა და საკითხი განსახილველად პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებაზე დააყენა. შემდეგ ეს საკითხი განხილულ იქნა კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზეც. მიღებული გადაწყვეტილების ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობით განმტკიცებამ უზრუნველყო მდგომარეობის გამოსწორება, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება.

ინსტრუქტორი სოფლად პარტიული კომიტეტის წარმომადგენელია და იგი არ შეიძლება მოვლენათა პასიური მაყურებელი იყოს, პირიქით, მოვალეა აქტიურად ებმებოდეს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჯერ კიდევ მტს-ების რეორგანიზაციის პირველ დღეებში სოფელ არაშენდის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში, რომელსაც აგრეთვე ინსტრუქტორი გ. კვეზერელი ემსახურება, შეიმუშავეს ღონისძიებანი სახელმწიფოსაგან შეძენილი ტექნიკის რაციონალურად გამოყენებისა და მექანიზატორთა პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად კოლმეურნეობამ საგაზაფხულო სატრაქტორო სამუშაოები გასულ წელთან შედარებით ოცი დღით ადრე შეასრულა. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადამ მიმდინარე წლის 1 აგვისტოსათვის ათასი ჰექტარით მეტი სამუშაო შეასრულა, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, როცა ბრიგადა მტს-ში იყო გაერთიანებული. მარტო კომუნისტმა გ. მოსულიშვილმა 10 მაისიდან 1 აგვისტომდე „კდ-35“ მარკის ტრაქტორით 427 ჰექტარი მიწა დაამუშავა.

ამახვილებენ რა სოფლის კომუნისტთა ყურადღებას ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობისადმი, რაიკომის ინსტრუქტორები ამავე დროს ცდილობენ მეტი დამოუკიდებლობა მისცენ პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს, კომუნისტებს, ხელს უწყობენ მათი აქტივობის ზრდას.

ახლა ინსტრუქტორთა წინაშე გახსნილია მოღვაწეობის ფართო ასპარეზი. სერიოზული ხარვეზი იქნებოდა, ისინი მარტო საწარმოო საკითხებით რომ შემოფარგლულიყვნენ. რაიონული კომიტეტის აპარატის ამჟამად არსებული სტრუქტურა ინსტრუქტორებს შემოქმედებითი მუშაობის ფართოდ გაშლის საშუალებას აძლევს. ახლა ინსტრუქტორები უფრო მეტად არიან დაინტერესებული, სასოფლო საბჭოების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სკოლების, კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობით. მაგალითად, სოფელ ნანიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ახალგაზრდობის დიდი ნაწილი საკოლმეურნეო შრომას გაურბოდა. ეს საკითხი განიხილეს პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, სადაც დასახულ იქნა სათანადო ღონისძიებანი. პირველი სერიოზული ნაბიჯი ის იყო, რომ შეიქმნა ახალგაზრდული ბრიგადა, რომელშიც 50-მდე ჰაბუკი და ქალაშვილი გაერთიანდა. ახალგაზრდულმა ბრიგადამ სანიმუშოდ დაამუშავა სიმინდის ნათესები და სხვა საქმეშიც ისახელა თავი. ეს ფაქტი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ კოლმეურნეობაში ახალგაზრდების შრომითი მონაწილეობის საკითხის განხილვისა და სპეციალური ბრიგადის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. ლაზაშვილი იყო.

უკანასკნელ ხანებში მოწონებას იმსახურებს ინსტრუქტორ ამხ. მეფულაშვილის მუშაობა. მან კარგად დააყენა თავისი ზონის პარტორგანიზაციებში პარტიულ-ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ წინათ შედარებით ნაკლებ კონტროლს ვუწევდით კულტურულ-საგანმანათლებლო და სასკოლო მუშაობას და რაიკომის ბიუროზეც იშვიათად განვიხილავდით საკითხებს, უკანასკნელ ხანს ამ მხრივ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა. ახლა, როცა ინსტრუქტორები არა მარტო საკოლმეურნეო, არამედ საწარმო-დაწესებულებათა პარტიულ ორგანიზაციებსაც ემსახურებიან, მათ საშუალება მიეცათ ყოველთვის იყვნენ ამ ორგანიზაციების საქმიანობის კურსში, ყოველდღიური დახმარება გაუწიონ მათ. მუშაობაში.

კოლმეურნეობებში, რომლებზეც ინსტრუქტორები არიან მიმაგრებული, ბევრი რამ არის ძვირფასი, მოწინავე, პროგრესული. ამოცანა ის არის, რომ გადავაქციოთ ეს მოწინავე გამოცდილება თვითეული მშრომელის კუთვნილებად. ამას წინათ რაიკომის ინსტრუქტორებმა დააყენეს საკითხი მოგვიწვია რაიონული თათბირი-სემინარი მიწოსზედა დასილოსების საკითხებზე. ამ საქმეში მოწინავეებ მათ დასახელეს კაჩრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა, სადაც მიწოსზედა დასილოსების ერთგვარი გამოცდილება აქვთ. ინსტრუქტორთა ამ წინადადებას მხარი დაუჭირა რაიკომმა. 8 აგვისტოს სოფელ კაჩრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში, სადაც მიწოსზედა დასილოსება წარმოებდა, მოეწყო კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და სპეციალისტების თათბირი-სემინარი. სემინარის მონაწილეები გაეცნენ კაჩრეთელთა გამოცდილებას და თავის მხრივ წამოაყენეს ბევრი საქმიანი წინადადება, რომლებიც ახლა ხორცს ისხამს.

კოლმეურნეობებში ინსტრუქტორთა ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებამ და ხშირ შემთხვევაში საჭირბოროტო საკითხების ადგილზე გადაჭრამ ბევრად განტვირთა საკითხებისაგან რაიკომის ბიუროს სხდომები. ახლა ბიუროზე მხოლოდ ისეთი საკითხები გამოგვიტანეს, რომელთა ადგილზე გადაწყვეტა კომუნისტებისა და ინსტრუქტორების ძალებს აღემატება.

რაიკომის აპარატის ახლანდელი სტრუქტურა დიდ მოთხოვნებს უყენებს ინსტრუქტორებს მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების მხრივ. ინსტრუქტორი ყოველმხრივ განვითარებული უ და იყოს. იგი მოვალეა კარგად ი ნობდეს საკოლმეურნეო ცხოვრ ბის ყველა მხარეს. ყოველდღ რად მუშაობდეს თავის თავზ მაგრამ ეს როდი ათავისუფლ რაიკომს ინსტრუქტორთა აღზ დისა და გამოწრთობის საქმისა მი პასუხისმგებლობისაგან. პა ტიის რაიკომი თვეში ორჯერ ა ყობს ინსტრუქტორთა თათბირ მათი მუშაობის ურთიერთგაზიარ რების მიზნით. ამ თათბირებ ვისმენენ ინსტრუქტორთა ინფო მაციებს, საქმიანად ვმსჯელობ და ვსახავთ ღონისძიებებს ნაკლ ვანებათა გამოსწორებისათვის.

დასასრულ უნდა ითქვას, რ ჯერ კიდევ ნაკლებად ხდება ინ ტრუქტორებთან მუშაობის გაა ცდილების ურთიერთგაზიარ ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ჩვ ნი ინსტრუქტორები შეხვდებო ნენ პარტიის სხვა რაიკომების ინ ტრუქტორებს მუშაობის ურთ ერთგაზიარების მიზნით. ვფი რობთ, რომ მომავალში სასოფ რაიკომების ინსტრუქტორთა მ შაობის გამოკვლევის გაზიარ ბის მიზნით რესპუბლიკური სემ ნარის მოწყობის საკითხი.

ერთ წერილში შეუძლებელ ყოველივე იმის ჩამოთვლა, სოფლად მტს-ების რეორგანიზ ციასა და პარტიის რაიკომის აპ რატის სტრუქტურის გარდაქმნ მოჰყვა შედეგად, აგრეთვე ყველ იმ საკითხის გაშუქება, რასაც აყ ნებს ცხოვრება ინსტრუქტორთ წინაშე. მაგრამ დანამდვილებ შეიძლება ითქვას, რომ მთელი მ სობრივ-პოლიტიკური, პარტიულ ორგანიზაციული მუშაობის უ ალოდ კოლმეურნეობებში გა ტანამ თავისი პირველი დადებ შედეგები მოგვცა.

მარად ცოცხლობდეს ჩვენი მეგობრობა რუმინელ ხალხთან!

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა. სატვირთო მანქანები, რომლებსაც უშვებს ქ. სტალინის საავტომობილო ქარხანა, ქალაქის ქუჩებში.

რუმინეთის დელეგაციათა სააგენტოს ფოტო.

რუსთაველი—რომანო

რუმინეთის ქალაქ რომანოში რამდენიმე წლის წინათ დაიწყო მილსაგლინავი ქარხნის მშენებლობა. რუმინელებს ამ საქმეში გამოცდილება არ ჰქონდათ. შარშან რუმინელი მუშებისა და ინჟინრების ერთი ჯგუფი კარგა ხანს იყო რუსთავში. ისინი ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში გულმოდგინედ სწავლობდნენ ლითონის გლინვის ტექნიკას. ქართველი მეტალურგებისაგან რამდენიმე თვეში აითვისეს მეტად რთული დანადგარების მართვა, ლითონის გლინვის საიდუმლოებანი და სამშობლოში დაბრუნდნენ.

გასული წლის ბოლოს რომანოს მილსაგლინავი ქარხნის დგან „400-ის“ დამონტაჟების უკანასკნელ სამუშაოებსა და ამუშავებაში მონაწილეობის მისაღებად რუმინელებმა რუსთაველიდან მიიწვიეს თავიანთი მეგობრები. შარშან ნოემბერ-დეკემბერში რომანოში იყვნენ ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს უფროსი პავლე წერეთელი, ამავე საამქროს უფროსი მვალცავები ვლადიმერ ინანაშვილი და გივი მაღლაფერიძე.

რომანოს მილსაგლინავ ქარხანაში რუსთავის მეტალურგებმა შარშან ოთხ თვეზე მეტი გაატარეს. ამ ხნის განმავლობაში ისინი რუმინელ მეგობრებს უზიარებდნენ თავიანთ მდიდარ გამოცდილებას.

რომანოს მილსაგლინავი ქარხანა მილნამზადს იღებს რუსთავიდან, სტალინოდან, დნეპროძერჟინსკიდან. ამას წინათ რუსთავის მეტალურგებმა თავიანთი რუმინელი მეგობრებისაგან წერილი მიიღეს. ისინი სთხოვდნენ კვლავ სწვეოდნენ ქალაქ რომანოს მილსაგლინავ ქარხანას. ქართველმა მეტალურგებმა რუმინელ მეგობართა თხოვნა შეასრულეს. დახმარებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით აგვისტოს პირველ რიცხვებში რომანოში ჩავიდნენ ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს უფროსი პ. წერეთელი და ქარხნის ტექნიკური კონტროლის უფროსი ვ. სპიცინი.

ვ. გოზალიშვილი.

ვიქტორ კერნბახი

ნათესავი მიწოდეთ

არ დავიწყება მოყვრისა აროდეს
გვიზამს ზიანსა.

შ. რუსთაველი.

მე ვიყავი იმ ქალაქში, სადაც იყო თამარი,
სადაც ქმნიდა რუსთაველი თავის უკვდავ სტრიქონებს.
ისევ დაჰქრის მთიდან მთამდე თბილი სიო ფრთამალი,
ისევ დაჰქრის თბილი სიო და ის მარად იქროლებს!

მისწრაფება დაჰყოლია თბილისს მარად ახალი,
ნგრევის გრიგალს გაჰყოლია ნაცარი და ნახშირი;
დარჩენილა ნათლის სეტი, ოცნებაზე მაღალი,
აღმოსავლეთ-დასავლეთის დიდი საძმო კავშირის.

...აქ ანთიმოზ ივერიელს თავზე დასთენებია,
რომ შეექმნა რუმინელთა, ჩემი ხალხის, ანბანი,
და მგონია ჩემს მამულშიც ყველა ქართველებია,
ისე გულით შეიყვარეს ტარიელის ამბავი.

უცხოელად არ მიმიღოთ, ნათესავი მიწოდეთ,
მეგობრობის ყვავილები განა იცრიცებიან!
შოთამ ძმობა გვიქადაგა, ჩვენც ამ ნებით ვიწვოდეთ —
თბილისი და ბუქარესტი ვითომ ღვიძლი ძმებია!

მე ვიყავი იმ ქალაქში, სადაც იჯდა თამარი,
სადაც ქმნიდა რუსთაველი თავის უკვდავ სტრიქონებს...
სადაც უნდა მატარებდეს ბედისწერა ფრთამალი,
ჩემი ფიქრი აწ და მარად ამ ქალაქში იქროლებს.

თარგმანი რუმინულიდან **აპაკი გელოვანისა.**

★

პირველი რუმინული წიგნის 450 წლისთავი

1958 წელს სრულდება 450 წელი მას შემდეგ, რაც რუმინეთში პირველი წიგნი დაიბეჭდა. ეს იყო წიგნი „ლიტურგიარი“, რომელიც 1508 წელს გამოიცა ტირგოვიშტში (იმ დროს ვლახეთის დედაქალაქში). ამ გამოცემის ავტორია ბერმონაზონი მაკარი.

წიგნი საინტერესოა თავისი ფორმატით, მთავრული და ნუსხური ასოების ჰარმონიით, ქალაღის ხარისხით, შეიცავს საერთო ანგარიშით 16 ბეჭდურ თაბახს (256 გვერდს).

ეს საინტერესო ნაშრომი 1860 წელს ბისტრიცის მონასტერში აღმოაჩინა მწერალმა და მეცნიერმა ა. ოდობესკუმ. ამ წიგნის 450-ე წლისთავისათვის რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის აკადემიის გამომცემლობა ამზადებს „ლიტურგიარის“ ფაქსიმილეს საიუბილეო გამოშვებას.

„საუბარი მიხეილ კალატოზოვთან“

ამ სათაურით ჟურნალ „ნაროდნაია რუმინიას“ მიმდინარე წლის მე-7 ნომერში დაბეჭდილია სერჯიუ მილორიანის წერილი, რომელიც ეხება რუმინეთში საბჭოთა ფილმის — „მიფრინავენ წეროები“ დემონსტრირებას.

„ღრმად ადამიანურ, საბჭოთა კინემატოგრაფიის შესანიშნავ ნაწარმოებს მხატვრული ოსტატობის მხრივ, — წერს ავტორი, — ბუქარესტში ენთუზიაზმით შეხვდნენ. საბილეთო სალაროებთან აუარებელი ხალხი იყო, პრემიერაზე საზოგადოება მქუხარე ტაშით აჯილდოებდა ფილმის ბრწყინვალე შემქმნელს მიხეილ კალატოზოვს, რომელმაც გაგვახარა თავისი დასწრებით. ასეთივე საზეიმო ხასიათი ჰქონდა ამ ფილმის პრემიერას ქალაქ სტალინში“.

მიხეილ კალატოზოვმა რუმინელ ჟურნალისტთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მუშაობს ფილმზე, რომლის მოქმედება ჩვენს დროში მიმდინარეობს.

რუმინეთის მიწაზე

ბუქარესტის შესასვლელთან აღმართულია უზარმაზარი თაღი. იგი 1922 წელს არის აგებული ჰოჰენცოლერნთა დინასტიის წარმომადგენლის რუმინეთის მეფის ფერდინანდ პირველის კურთხევის პატივსაცემად. როგორც წესი, ამ თაღით ქალაქში შესვლა მარტო მეფის შეეძლო, ეს წესი დაირღვა მხოლოდ 1944 წლის აგვისტოში, როცა თაღის ქვეშ ჩაიქროლეს საბჭოთა ტანკებმა და ჯავშანსატანკო ნაწილებმა...

მას შემდეგ რუმინელმა ხალხმა საკუთარ ხელში აიღო თავისი ბედ-იღბალი. მან აიძულა მეფე მიხაი პირველი, უფრო სწორად მიხაი უკანასკნელი, ტახტიდან ჩამოსულიყო. ახლა თოთხმეტი წელია რუმინეთში მეფობს თვითონ ხალხი და თუ ბუქარესტის თაღის ქვეშ გავლა მხოლოდ მეფეს შეეძლო, დღეს ყველა მშრომელს შეუძლია გაიაროს.

ვინც კი ერთხელ მაინც ნახა ეს პატარა ქვეყანა, შეუძლებელია დაავიწყდეს მისი მთები და საუკუნოვანი ტყეები, ფერდობებზე დაქანებული გიქმაჟი მდინარეები, შავი ზღვის ნაპირებისა და ციხფერი დუნაის დელტის თვალწარმტაცი სილამაზე... შეუძლებელია დაავიწყო რუმინელი კაცის ალალმართალი, მოსიყვარულე გული...

...მოსკოვ-ბუქარესტის მატარებელმა რუმინეთის საზღვარი გადალახა. ჩვენ უკვე რუმინელი მეგობრების მომხიბლავ სამშობლოში ვართ.

— ბუნე დიმინიაცე, რეპუბლიკა პოპულარა რომინა! (დილა მშვიდობისა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკავ!) — მივესალმეთ რუმინეთის მეგობრულ მიწას წინასწარ დასწავლილი რუმინული სიტყვებით.

რუმინეთმა სტუმართმოყვრულად გააღო კარი. გზის პირებზე ჩამწკრივებული სახლების ფანჯრებიდან გამოჩნდა კეთილი ღიმილი.

პირველი ქალაქი, სადაც ჩვენ ჩავედით, ეს იყო პლოეშტი, რუმინეთის ნავთობის მრეწველობის ცენტრი. პლოეშტი მისი სახელწოდების მიხედვით „წვიმიანი ქალაქია“. საბედნიეროდ, მზიანი დღე დაიჭირა. ავტობუსის ფანჯრებიდან ხარბად ვაკვირდებით ლამაზ ქუჩებს, სუფთა მოედნებს. ქალაქ სინაიასაკენ მივემგზავრებით შესანიშნავი გზატკეცილით. გზის პირას გამართულ კალოებზე ფრიალებს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სამფერი დროშა. ლურჯი, ყვითელი და წითელი ფერები შეხამებია ერთმანეთს. ჩემთვის ვფიქრობ: ლურჯი — ცა, ყვითელი — ყანა, წითელი — ყაყაჩო...

პრახოვას ხეობა... თითქოსდა ბორჯომის ხეობაში ვართო. დაკლაკნილი გზით მივემართებით. პრახოვა მეტად „მოურიდებელი“ მდინარეა, — მიხვეულ-მოხვეულ, მაგრამ მოკრიალებულ გზაზე იგი შვიდჯერ გვხვდება...

საღამოს უკვე მივედით თვალწარმტაც კურორტ სინაიაში, რომელიც კარპატების მთებთან, ბუჩეჯის მასივთან მდებარეობს. მეორე დღეს დილის 10 საათზე (აღმოსავლეთ ევროპის დროით, რომელიც ორი საათით ჩამორჩება თბილისის დროს) ავედით დასასვენებელ სახლ „9 მაისში“, რომელიც კარპატების მთებში ზღვის დონიდან 1.400 მეტრ სიმაღლეზეა. 7 კილომეტრის მანძილზე ფეხით გავიარეთ ფიქვისა და ნაძვის წარმტაცი ტყეები.

კურორტ სინაიაშივე ვნახეთ პელეშის სასახლე, რუმინეთის მეფეების ყოფილი საზაფხულო რეზიდენცია, ამჟამად მუზეუმი. სასახლე აშენებულია გერმანული რენესანსის სტილით ვენელი არქიტექტორის დუდერერის მიერ 1875-1883 წლებში. სასახლე სამი შენობისაგან და სულ 160 ოთახისაგან შედგება. ერთ-ერთი შენობა ეკუთვნოდა რუმინეთის უკანასკნელ მეფის მიხაი პირველს. ამჟამად აქ კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლია.

მივემგზავრებით ქალაქ სტალინისაკენ, რუმინეთის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქისაკენ, რომელიც 124 ათასი მცხოვრებია. კურორტ ბუშტენთან სტუმართმოყვრულად გვაცილებს და თავის ნისლად ქუდს გვიხდის კარაიმანულის მთა, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 2.348 მეტრია. მთაზე პირველ მსოფლიო ომში დაღუპულ მეომართა სამახსოვროდ დადგმულა 24 მეტრის სიმაღლის ჯვარი, თითქმის ყოველთვის ნისლში მყოფი...

აი ქალაქი სტალინიც, რუმინეთის მეორე სამრეწველო ცენტრი. აქ არის ისეთი მსხვილი სამრეწველო საწარმოები, როგორც ტელმანის სახელობის სატრაქტორო ქარხანა, ქარხანა „სტიაგულ როშუ“, რომელიც უშვებს სატვირთო ავტომობილებს, ორთქლმავლებს, ვაგონებს.

ქალაქს შენარჩუნებული აქვს შუასაუკუნეობრივი სახე. ძველისძველი ციხის ნანგრევები, მრავალი ძველი შენობა და ეკლესია ყოველ ნაბიჯზე მოაგონებენ მნახველს ამ ქალაქის, ყოფილი ბრაშოვის, მრავალსაუკუნოვან ისტორიას. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ძველი ტაძარი ბესერიკა ნიაგრე (შავი ეკლესია), გუთური არქიტექტურის ცნობილი ძეგლი. აქ შეიძლება მოუსმინოთ ევროპაში ერთ-ერთ უდიდეს ორღანს. იგი გაკეთებულია 1830 წელს ბერლინში ოსტატ ბუჰოლცის მიერ და 4.000 მილი აქვს.

არანაკლებ საინტერესოა ქალაქ სტალინთან ახლოს მდებარე ციხე-სიმაგრე ბრანა, რომელიც 1377 წელს არის აშენებული. სხვა ძვირფას ისტორიულ ნივთებს შორის, რომლებიც 60 ოთახშია მოთავსებული, არის XIV საუკუნის კედლის საათი, რომლის მექანიზმი მთლიანად გაკეთებულია ხისაგან.

ბუქარესტისაკენ მიმავალ გზაზე ვნახულობთ ყოფილ ციხე „დოფტანას“, რომელიც აშენებულია 1894 წელს. ამ ციხეში პირველად სისხლის სამართლის დამნაშავეები ისხდნენ, შემდეგ კი — პოლიტიკური პატიმრები. ციხეში 397 სკამია, მათ შორის 208 საკანი ბნელია. გვაჩვენეს ციხის პატარა ოთახი, სადაც 1938 წელს რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. გეორგიუ-დეჟის ხელმძღვანელობით მოეწყო არალეგალური კონფერენცია. ერთ-ერთ საკანში 1940 წლის მიწისძვრის დროს დაღუპა რუმინეთის მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ილიე პინტილიე. ახლა მემორიალური დაფები ამშვენებს როგორც ამ საკანს, ისე იმ საკნებს, სადაც ისხდნენ ამხანაგები გ. გეორგიუ-დეჟი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები გიორგი აპოსტოლი, ალექსანდრე მოგეროში...



ბუქარესტი. ნიკოლაე ბელჩესკუს ბულვარი.

• • •

მოუთმენლად ვითვლით წუთებს. ჩვენი ავტობუსი მალე შევა ბუქარესტში — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში.

და აი მზიური, მწვანე ბუქარესტი, ქალაქი, რომელიც ატარებს მწყემს ბუქურის სახელს... აქ ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ რუმინელი ხალხის საუკეთესო ტალანტები: მწერლები ძმები ვეკერეშტები, მგზნებარე რევოლუციონერი დემოკრატი და მოაზროვნე ნიკოლაე ბელჩესკუ, პოეტები მ. ემინესკუ, გ. ალექსანდრესკუ და ბოლინინტიანუ, მხატვრები ნ. გრიგორესკუ და თ. ამანი... ისინი გამოვიდნენ იმ ხალხის წრიდან, რომლის ხელით ბუქარესტის არსებობის ხუთასი წლის მანძილზე შენდებოდა ეს შესანიშნავი ქალაქი, რომელსაც არისტოკრატები, ბოიარები და მსხვილი საქმოსნები „პატარა პარიზს“ უწოდებდნენ.

...ჩრდილოეთის ვაგზლის მხრიდან შევდივართ ბუქარესტის ქუჩებში ქალაქის დასათვალიერებლად. აქ ახლოს არის გრიგიცას რაიონი. ეს არის ის წითელი გრიგიცა, რომელსაც ბუქარესტელებისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც მოსკოველებისათვის კრასნაია პრესნიას. აქ 1933 წელს მოხდა რკინიგზელთა დიდი რევოლუციური გამოსვლება.

ახალი ცხოვრების გამარჯვების, ახალი კულტურის სიმბოლოდ დგას ქალაქის განაპირას მაღალი შენობა. ეს არის „სკინტეიას“ ახალი, უდიდესი პოლიგრაფიული კომბინატი, სადაც გამოდის რუმინეთის ცენტრალური გაზეთები და ჟურნალები.

არ შეიძლება ბუქარესტში ყოფნისას კაცმა გვერდი აუაროს 23 აგვისტოს სახელობის სპორტულ ქალაქს, სადაც 1954 წელს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალის 100.000 მაყურებლისათვის აშენდა ტრიბუნები. გული ვერ მოგითმენთ, რომ არ შეხვიდეთ თავისუფლების პარკში ან ნავით არ გაისეირნოთ ხერესტრეუსა და ფლორიასკას ტბებზე, არ ნახოთ ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალი შენობა, უდიდესი კინოთეატრები „მეგობრობა“ და „სამშობლო“. რუმინეთის ეროვნულ გალერიაში, რომელიც მოთავსებულია ყოფილ მეფის სასახლეში, შესაძლებლობა გაქვთ მოიხიბლოთ ტიციანის, ელ გრეკოს, რემბრანდტის, რუბენსის, მურილიოს, ცნობილი რუმინელი ოსტატების — გრიგორესკუს, ამანის, ანდრეესკუს, ლუკიანის ტილოებით.

ქალაქის გარეუბანში მდებარეობს სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების დიდი პარკი, რომლის ტერიტორიაზეა თავისებური მუზეუმი — „რუმინული სოფელი“.

ბუქარესტში შევხვდი მეგობარ რუმინელ მწერალს ვიქტორ კერნბახს, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ რუმინულ ენაზე მთარგმნელს, რომელიც შარშან საქართველოში მოგზაურობდა. როგორც „კომუნისტის“ მკითხველებისათვის ცნობილია, საქართველოში სიხარულით შეხვდნენ ჩვენს რესპუბლიკაზე დაწერილ მის წიგნს — „ქვეყანა თოვლსა და ფოროთოხლებს შორის“. ეს-ეს არის ვიქტორს თბილისიდან მიეღო ირაკლი აბაშიძის დეპეშა, რომელშიც ეწერა: „დიდი მადლობა, ძვირფასო ვიქტორ. მივიღეთ თქვენი შესანიშნავი წიგნები. ყველა მოხარულია. ჩვენი სურვილია ეს წიგნები ვიხილოთ ქართულ ენაზე. ძმური სალამი ჩვენი ქართველი მწერლებისაგან.“

როგორც ვიქტორ კერნბახმა თქვა, მალე გამოვა მისი ლექსების ახალი წიგნი „განთიადის რიტმი“, სადაც შეტანილი იქნება ლექსების ციკლი საქართველოში მოგზაურობის შესახებ. იგი აპირებს აგრეთვე დაწეროს წიგნი ციმბირზე.

სად არ შეხვდებით ქართული კულტურის მოღვაწეთა კვალს. ვიქტორ კერნბახი გატაცებით მესაუბრა ანთიმოზ ივერიელზე, რომელიც რუმინეთში მეტად ცნობილი მოღვაწე იყო. ბუქარესტში არის ანთიმოზ ივერიელის სახელობის ქუჩა და მონასტერი. ეს მონასტერი ანთიმოზმა 1714 წელს დააარსა. ამჟამად აქ განზრახულია მოეწყოს მუზეუმი, სადაც ასახული იქნება ანთიმოზის ცხოვრება და მოღვაწეობა. რუმინეთში ანთიმოზის მკვლელობიდან 240 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნიც გამოსულა...

მოგზაურობის უკანასკნელი დღე... იასი... აქ გვეგულება ბესიკის საფლავი. ისტორიულ მუზეუმში ვნახეთ მისი საფლავის ლოდი. ბედნიერება მხვდა ქართველი ტურისტების ჯგუფის სახელით პირადად დამედო ამ ლოდზე გვირგვინი წარწერით: „ჩვენს დაუვიწყარ პოეტს ბესიკ გაბაშვილს, ქართველი ტურისტების ჯგუფისაგან“. აქ ახლოს არის „წითელი პარასკევის“ ყოფილი ეკლესიის ეზო, სადაც ახლა ბაზარია. ამ მიწაში სადღაც განისვენებს ბესიკი, „მხილველთაგან შენდობისა მთხოველი“.

ეჰ ვინ იცის რომელ
კუნჭულს ებარე,
სად დაგეცა ცრემლი, დარდის
მთოველი,
სადღაც ახლოს საფლავს შინა
მდებარე
წევხარ ჩუმად — შენდობისა
მთხოველი...

იასი დავტოვეთ. სამშობლოში მოგვდევს, როგორც მუდმივი თანამგზავრი, სიყვარული რუმინეთის მიწისა, ძალა დიდი მეგობრობისა.

სტეფანე არღუნელი.

ბუქარესტი-თბილისი.

რუმინეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რუმინეთს უშუალოდ არ ესაზღვრება, მათ შორის ჯერ კიდევ ასეული წლების წინათ საკმაოდ ცხოველი კულტურული ურთიერთობა არსებობდა.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფ. კონსტანტინესკუ-იაშის შრომებში „რუმინეთ-რუსეთის კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან“, „რუმინეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა“ და „საუკუნო მეგობრობა“ მრავალი ისტორიული წყაროს დამოწმებით, გვგმების, ესკიზებისა და ფოტოსურათების შედარებით უდავოდ დასტურდება, რომ რუმინეთში XVI, XVII საუკუნეებში აგებული ეკლესიები სუჩავაში, ბისტრიცაში, იასში, ბუქარესტში და სხვაგან ქართული ტაძრებისა და ეკლესიების — ბიჭვინთის, ოშკის, სვეტიცხოვლის, სამთავისის და სხვათა ოდნავ სახეშეცვლილ ასლებს წარმოადგენენ.

რამდენიმე წლის წინათ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში დამთავრდა ახალი ქალაქის — ვიქტორიის მშენებლობა ქართველი არქიტექტორების მიერ შედგენილი ტიპური პროექტების მიხედვით, რომლებიც განკუთვნილი იყო რუსთაველისათვის.

მე-17 საუკუნის დასასრულს და მე-18 საუკუნის დასაწყისში რუმინეთში მოღვაწეობდა პატრიარქი ანთიმოზ ივერიელი, ეროვნებით ქართველი, რომელმაც დიდი ამჟამი დასდო რუმინული ლიტერატურული ენის შექმნას.

რუმინეთის მიწაზე ჰპოვა საუკუნოვანი განსვენების ადგილი ცნობილმა ქართველმა პოეტმა და დიპლომატმა ბესიკმა.

რუმინეთში ჯერ კიდევ 1947 წელს გამოიცა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი, შესრულებული ვერა რომანის მიერ, ხოლო 1956 წელს გამოვიდა ამ უკვდავი პოემის ვიქტორ კერნბახისეული პოეტური თარგმანი.

რუმინელ მომდერალთა და შემსრულებელთა კონცერტებს საქართველოში ყოველთვის დიდი წარმატება აქვს. მომდერლები გარბის ზობანი, ჩერნეი, ხუბიკი და სხვები საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ასევე დიდი წარმატებით ჩაიარა ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტებმა რუმინეთში. უკანასკნელ წლებში რუმინეთში გადათარგმნილ და გამოცემულ იქნა გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, ი. აბაშიძის, დ. გულიას, ი. ნონეშვილის და სხვათა ნაწარმოებნი. საქართველოში გამოიცა გრ. აბაშიძის მიერ თარგმნილი მ. ემინესკუს ლექსების კრებული და იონ კარაჯალეს რამდენიმე მოთხრობა.

საბჭოთა საქართველოსა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურული კავშირი მომავალში უფრო გაფართოვდება და განმტკიცდება.

ი. კოგანიძე,
საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების განყოფილების გამგე.

რეპორტაჟი ბუქარესტიდან

დაე იცოცხლოს ადამიანმა 100-150 წელი...

ბუქარესტი, აკადემიკოს კ. პარხონის სახელობის ჰერიატრიის ინსტიტუტი... ამ მისამართით ყოველდღე მსოფლიოს ყველა კუთხიდან — სსრ კავშირიდან, პოლონეთიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, სპერძნეთიდან, არგენტინიდან, ვენესუელიდან, ინდოეთიდან ასამდე წერილი მოდის. ამ წერილებში ადამიანები გამოთქვამენ დიდ ინტერესს სიბერის მკურნალობის მეთოდებისადმი, სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემებისადმი.

მრავალ მეცნიერს აღელვებდა და აღელვებს ეს კითხვა: შეიძლება თუ არა ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება, სიბერის დამარცხება? რუმინეთში ჯერ კიდევ ამ ორმოცი წლის წინათ ეძებდა პასუხს ამ კითხვაზე გამოჩენილი მეცნიერი აკადემიკოსი კ. პარხონი, რომელმაც შეიმუშავა სიბერის მკურნალობის სხვადასხვა მეთოდი. ამ პრობლემას მიუძღვნა მან თავისი შესანიშნავი შრომები „მოხუცებულობა და მისი მკურნალობა“, „ასაკის ბიოლოგია“.

ამ ბოლო დროს რუმინელი მეცნიერები დიდ მუშაობას ეწევიან ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის. ეს მუშაობა ამჟამად თავმოყრილია ბუქარესტის აკადემიკოს კ. პარხონის სახელობის ჰერიატრიის ინსტიტუტში, რომელიც 1951 წელს დაარსდა მისი დირექტორია პროფესორი ანა ასლანი.

... ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პროფესორი დავიდი გატაცებით გვესაუბრება ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემებზე, მოჰყავს დამაჯერებელი მაგალითები ინსტიტუტის მუშაობიდან.

— ჩვენი ინსტიტუტის მიზანი, — ამბობს პროფესორი, — ის არის, რომ შეისწავლოს მოხუცებულობის ფიზიოლოგია და აწარმოოს სიბერის მკურნალობა. ჩვენთან ავადმყოფების შერჩევა ხდება არა კალენდარული წლების მიხედვით, არამედ ვითვალისწინებთ ორგანიზმის ბიოლოგიურ მდგომარეობასაც. არსებობს სხვადასხვა კრიტერიუმი თვითეული ასაკისა და ჯგუფისათვის. სიბერის მკურნალობის დარგში უკანასკნელ მიღწევას წარმოადგენს ნოვოკაინით — პრეპარატ „H3“-ით მკურნალობა, რამაც ყველაზე კარგი შედეგი მოგვცა.

ოთახში, სადაც ჩვენი საუბარი მიმდინარეობს, შემოჰყავთ რამდენიმე ავადმყოფი, რომლებიც ხანგრძლივად მკურნალობენ ნოვოკაინით. გაგვაცნეს 110 წლის თბილისელი მოხუცი ბარსელ მარკოსიანი. იგი ინსტიტუტში 1954 წელს მოიყვანეს, როცა 104 წლისა იყო. მოხუცი ვერ მოძრაობდა, დაკარგული ჰქონდა მეხსიერება, დაავადებული იყო ათეროსკლეროზით, ემჩნეოდა სმენის დაქვეითება. ორი წლის მკურნალობის შემდეგ ბარსელი კარგად არის. დღეში რამდენჯერმე დამოუკიდებლად ადის და ჩადის ინსტიტუტის კიბეებზე, ყოველ დილით სხვის დაუხმარებლად სეირნობს ქალაქის ქუჩებში, რომ იტყვიან, მთელ ბუქარესტს უვლის. მეხსიერება მთლიანად დაუბრუნდა, სახის ნაოჭები გაუქრა, აღენიშნება კანის ელასტიკურობა, თმამ გაშავება დაიწყო. ასევე კარგად გრძნობს თავს ოდესის ოპერის თეატრის ყოფილი მომღერალი ქალი, 74 წლის სტანისლავა ბოჩარი, რომელსაც ხმა დაკარგული ჰქონდა, ახლა კი ჩვენს თვალწინ შეასრულა არიები სხვადასხვა ოპერიდან... მას დაუბრუნდა არა მარტო ხმა, არამედ, რაც მთავარია, დაუბრუნდა სიცოცხლე, ახალგაზრდული ენერგია.

პროფესორი დავიდი გვაწვდის სურათების ალბომს. ეს სურათები ნათლად მოწმობენ სიბერის წინააღმდეგ რუმინელ მეცნიერთა ბრძოლის შესანიშნავ შედეგებს.

აი ერთი სურათი. მასზე გამოსახულია 42 წლის კაცი, ადრე დაბერებული. ბიოლოგიურად იგი 70 წლისაა. თმა გაცვენილი აქვს, ხელები და სახე — დამკნარი. ამ ნაადრევად მოხუცებულმა ადამიანმა ინსტიტუტში ერთი წელი იმკურნალა. აი იმავე ადამიანის მეორე სურათი, საიდანაც იღიმება ახალგაზრდა კაცი. მას უკვე თმა ამოსვლია, ახალგაზრდული ხალისი და ენერგია დაბრუნებია...

ინტერესით განვაგრძობთ ალბომის ფურცვლას. ერთ-ერთ სურათზე გამოსახულია 118 წლის ქალი იმ მდგომარეობაში, როცა ინსტიტუტში მოიყვანეს. მაშინ იგი ლოგინიდან ვერ დგებოდა, დაავადებული იყო სკლეროზით. ერთი წლის მკურნალობის შემდეგ მოხუცმა სიარული დაიწყო და თმაც გაუშავდა. მეორე სურათში მისი თვალებიდან უკვე სიცოცხლე იხედება.

ინსტიტუტმა დღემდე ნოვოკაინით მკურნალობა გამოიყენა 7.600 შემთხვევაში. იმ პირების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რომლებიც ინსტიტუტში მკურნალობენ, თითქმის 10 წლამდე გაიზარდა. თუ ადამიანის საშუალო ასაკად 63 წელი შეიძლება ჩაითვალოს, აქ ეს ასაკი 83 წლამდე გაზარდეს.

ჰერიატრიის ინსტიტუტი დიდ ყურადღებას აქცევს ასაკის პროფილაქტიკას. აქ ფიქრობენ, რომ ნოვოკაინით მკურნალობა პროფილაქტიკის მიზნით უმჯობესია დაიწყოს 45-50 წლის ასაკში. აქაურ მეცნიერთა მუშაობას განსაზღვრავს ორი ფაქტორი: საშუალო ასაკის გახანგრძლივება და სიკვდილიანობის შემცირება. იმ მოხუცთა შორის, რომლებიც ინსტიტუტში მკურნალობენ, სიკვდილიანობა 30 პროცენტით შემცირდა.

ხორცი ესხმება რუსი და საბჭოთა მეცნიერების — მეჩნიკოვის, პავლოვის, ბოგომოლეცის, ნაგორნის, რუმინელი მეცნიერის პარხონისა და მისი მოწაფეების აზრს იმის შესახებ, რომ ადამიანს შეუძლია იცოცხლოს 100-150 წელი.

• სიბერის მკურნალობა შეიძლება, სიბერის დამარცხება შეიძლება!

ს. პავლიაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის დილის სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა ახლო და შუა აღმოსავლეთის მდგომარეობისა, რომელიც შეიქმნა ლიბანში ამერიკის ჯარებისა და იორდანიაში ინგლისის ჯარების ინტერვენციის შედეგად.

სხდომის დაწყებისას გამოვიდნენ ცეილონისა და იემენის დელეგატები, რომლებმაც მოითხოვეს ლიბანიდან და იორდანიიდან ამერიკისა და ინგლისის ჯარების უსწრაფესი გაყვანა.

შეეხო რა ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენელთა ცდას — გაამართლონ ამერიკა-ინგლისის აგრესია, ცეილონის დელეგაციის მეთაურმა კორეამ განაცხადა, რომ რამდენადაც ნორვეგიისა და სხვა ექვსი ქვეყნის რეზოლუცია არ შეიცავს პუნქტს იორდანიიდან დაუყოვნებლივ ამერიკისა და ინგლისის ჯარების გაყვანის შესახებ, ეს რეზოლუცია მიუღებელია მთელი რიგი ქვეყნებისათვის.

იემენის დელეგატმა ქამილ აბდელ რაჰმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთის არც ერთი პრობლემის განხილვა არ შეიძლება, თუ არ შეწყდა შეიარაღებული ინტერვენცია და არ გაიყვანეს არაბთა მიწაწყლის მოაკუპირებული ჯარები.

იემენის დელეგატმა გააკრიტიკა „შვიდთა“ რეზოლუციის პროექტი. რეზოლუციის ეს პროექტი, თქვა მან, სრულიად არ შეეფერება საგანგებო მდგომარეობის მოთხოვნებს, რომლის წინაშეც ახლა ვდგავართ. პროექტი არ მოითხოვს უცხოეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას და ამას თან ახლავს ყოველგვარი წინასწარი პირობა. ეს სრულიად მიუღებელს ხდის რეზოლუციის პროექტს.

ეთიოპიის წარმომადგენელმა ალემეიეჰოუმ მოუწოდა გამოძებნონ ისეთი ფორმულა, რომელიც შეეფერებოდეს ლიბანისა და იორდანიის ინტერესებს და დაპირობებდეს ამ ქვეყნებიდან უცხოეთის ჯარების გაყვანას.

შემდეგ სიტყვა მიეცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კუვ დე მიურვლს, რომელმაც მხარი დაუჭირა ინგლის-ამერიკის აგრესიას ახლო აღმოსავლეთში.

საფრანგეთის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა „შვიდთა“ რეზოლუციის პროექტს, რომელიც დუმილით უვლის გვერდს ლიბანიდან და იორდანიიდან ამერიკისა და ინგლისის ჯარების გამოყვანის საკითხს. ამასთან ერთად მან მოითხოვა მოეწყოს თათბირი უმაღლეს დონეზე დიდი სახელმწიფოებისა და სხვა დაინტერესებული ქვეყნების, მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის განსახილველად.

20 აგვისტოს დღის სხდომა

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. (საკდესი). საერთო დისკუსია ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიაზე დასასრულს უახლოვდება. დისკუსიის დამთავრების შემდეგ ასამბლეა შეუდგება რეზოლუციათა პროექტების განხილვას.

გუშინდელ დღის სხდომაზე გამოვიდნენ ბელორუსიის სსრ, ვენესუელის, მალაიის, ლიბერიის, ბრაზილიისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლნი.

ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. ვ. კისელიოვმა საფუძვლიანად გააკრიტიკა აგრესორთა ცდები გაამართლონ თავიანთი აგრესია და ასამბლეის ყურადღება ჩამოაშორონ ლიბანიდან და იორდანიიდან ჯარების გაყვანის ძირითადი საკითხის განხილვას.

კ. ვ. კისელიოვმა ამხილა აგრეთვე ზოგიერთი დელეგაციის ცდები გამოიხსნან აგრესორები და შეამეკრონ ახალი ძსოფლიო ომის წარმოშობის საფრთხე, რომელიც შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების ლიბანში და ინგლისის — იორდანიაში ინტერვენციის შედეგად.

მალაიის წარმომადგენელმა აბდულ რაჰმანმა მხარი დაუჭირა იმას, რომ განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა ამერიკამ და ინგლისმა რაც შეიძლება მალე გაიყვანონ ჯარები ლიბანიდან და იორდანიიდან, რამდენადაც მათი იქ ყოფნა, როგორც მან აღნიშნა, მხოლოდ აორკეცებს კრიზისს ახლო და შუა აღმოსავლეთში.

ლიბერიის დელეგატმა, რომელიც დათანხმდა გამოვიდეს დასავლეთის სახელმწიფოთა რეზოლუციის პროექტის „თანაავტორად“, აღიარა, რომ შეიარაღებული ძალების გამოყენება კრიზისის პირობებში „ზხოლოდ აორკეცებს ამ კრიზისს“. მაგრამ ლიბერიის დელეგატმა მაინც მხარი დაუჭირა რეზოლუციის პროექტს, რომელიც გვერდს უვლის ამერიკისა და ინგლისის ჯარების ლიბანიდან და იორდანიიდან დაუყოვნებლივ გაყვანის საკითხს.

„შვიდთა“ რეზოლუციის მხარი დაუჭირეს აგრეთვე ვენესუელისა და ბრაზილიის წარმომადგენლებმა.

დღის სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელმაც შეაჯამა დისკუსიის წინასწარი შედეგები. მან აღნიშნა, რომ როგორც თითქმის ორი კვირის დისკუსიამ ცხადყო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმოდგენილ სახელმწიფოთა უმეტესობა გმობს ამერიკისა და ინგლისის ჯარების შეჭრას ახლო აღმოსავლეთში, რომლის შედეგადაც დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა ამ რაიონში, და მოითხოვს სასწრაფოდ გაიყვანონ ეს ჯარები ლიბანიდან და იორდანიიდან.

არავის, გარდა თვითონ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისისა, თქვა ა. ა. გრომიკომ, აგრეთვე რამდენიმე სხვა იმ სახელმწიფოს წარმომადგენლებისა, რომელნიც ხელ-ფეხშებოჭილი არიან სამხედრო და სხვა ვალდებულებებით ამ სახელმწიფოთა წინაშე, არ დაუცავს უცხოელთა სამხედრო ინტერვენცია ლიბანსა და იორდანიაში. მან აღნიშნა, რომ იმ სახელმწიფოთა წარმომადგენელნიც კი, რომელთაც პირდაპირი პასუხისმგებლობა აკისრიათ აგრესიისათვის, იძულებული გახდნენ დამამშვიდებელი განცხადებანი გაეკეთებინათ, თუმცა ეს განცხადებები მათ არაფერს არ ავალებს.

შეეხო რა ასამბლეის ტრიბუნიდან გაკეთებულ მტკიცებებს, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი პატივს სცემდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და ხელმძღვანელობდნენ ამ წესდებით თავიანთ მოქმედებაში, ა. ა. გრომიკომ ხაზი გაუსვა, რომ ეიზენჰაუერის განცხადება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „უფლებას იტოვებენ“ გზავნონ თავიანთი ჯარები სხვა პატარა ქვეყნებშიც, სულაც არ მოწმობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პატივისცემას.

ა. ა. გრომიკომ ასამბლეის ყურადღება მიაქცია იმას, რომ მთელი ლაპარაკი „არაპირდაპირ აგრესიაზე“ ბოლოს და ბოლოს არის შეპასუხება ზოგიერთი ქვეყნის რადიოგადაცემთა წინააღმდეგ, რომელთა შინაარსი ხელს არ აძლევს ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეებს ლიბანსა და იორდანიაში, აგრეთვე ვაშინგტონსა და ლონდონს. მაგრამ ვინ დაიჯერებს, თქვა გრომიკომ, რომ შუა და ახლო აღმოსავლეთში ახლანდელი დაძაბულობის მიზეზი თითქოს იყო არა უცხოთეთის ჯარისკაცების ყოფნა არაბთა ქვეყნებში, არა ამერიკის ბომბდამშენთა ფრენა იორდანიის ქალაქების თავზე, არა ამერიკის შეერთებული შტატების მე-6 ფლოტის ხომალდების მიმოსვლა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებთან და არა იმპერიალისტური ექსპანსიის პოლიტიკა არაბული აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ, არამედ არაბ მიმომხილველთა კრიტიკული კომენტარები პოლიტიკოსთა მიმართ ბეირუთსა და ამანში, რომელთაც მფარველობენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები.

თუ ვილაპარაკებთ იმაზე, ვინ არის ნამდვილად „არაპირდაპირი აგრესიის“ მონაწილე და ვის გადაეცა ასეთი „არაპირდაპირი აგრესია“ საერთაშორისო ურთიერთობის დარგში მოქმედების შემადგენელ ნაწილად, განაგრძო ა. ა. გრომიკომ, ამაში ბრალი მიუძღვით სწორედ იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც მიმართეს პირდაპირ აგრესიას ახლო და შუა აღმოსავლეთის წინააღმდეგ — ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს.

ა. ა. გრომიკომ ამხილა კიდევ ერთი ფანდი, რომელსაც ახლა მიმართავენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციები, გადაკვრით ლაპარაკობენ რა, რომ ინგლისელებს იორდანიიდან მათი ჯარების სწრაფად გაყვანაში თითქოს ხელს უშლის ისრაელის მუქარა, რომ თავს დაესხმის იორდანიას. ასეთი მდგომარეობა, თქვა მან, არ შეიძლება დავახასიათოთ სხვანაირად, თუ არა როგორც წინასწარ მომზადებულ, რომ ახალი პროექტი მათ „აკმაყოფილებს“, თუმცა ცნობილია, რომ რამდენიმე დღის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია აცხადებდა, რომ მისთვის ყოველად მიუღებელია რაიმე რეზოლუცია, რომელშიც ამა თუ იმ ფორმით ნახსენებია, რომ საჭიროა შეიარაღებული ძალების „რაც შეიძლება მალე გაყვანა „ლიბანიდან და იორდანიიდან“. აღმოჩნდა რა გენერალურ ასამბლეაზე დამარცხების პერსპექტივის წინაშე და იმ მდგომარეობაში, როცა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის წინააღმდეგ ილაშქრებს არაბთა და აზიის ქვეყნების ჯგუფის თითქმის ყველა დელეგაცია და ლათინური ამერიკის ქვეყნების ნაწილიც კი, ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული არიან უკან დაიხიონ.

სხდომაზე გამოვიდა სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრი მუჰამედ აჰმედ მაჰგუბი, რომელმაც დიდი შეშფოთება გამოთქვა შუა აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის გამო და, კერძოდ, იმასთან დაკავშირებით, რაც ამ რაიონში მოხდა უკანასკნელი თვეების მანძილზე. უკანასკნელი ამბები, ხაზი ვაუსვა მან, უეჭველია საფრთხეს უქმნიან არა მარტო ამ რაიონის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშვიდობასა და უშიშროებას.

სუდანს, როგორც არაბულ სახელმწიფოს, მიაჩნია, რომ არაბული აღმოსავლეთის ყოველი შინაური საქმე უწინარეს ყოვლისა არაბთა ქვეყნების ლიგამ უნდა ვადაწყვიტოს, არაბთა სახელმწიფოებს უნდა მიეცეთ სრული უფლება თვითონ გადაჭრან თავიანთი საქმეები ამ სახელმწიფოთა ხალხების ნება-სურვილის შესაბამისად.

სუდანის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სუდანი განუხრელად იცავს ბანდუნგის კონფერენციისა და აკრის კონფერენციის გადაწყვეტილებებს, რომლებმაც ხაზი გაუსვეს იმ პრინციპს, რომ რომელიმე სახელმწიფო არ ერეოდეს სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში და ყველა სადავო საკითხი მშვიდობიანი საშუალებებით ვადაიჭრას სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველსაყოფად.

სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გენერალური ასამბლეის ახლანდელმა სესიამ ისეთი რეზოლუცია უნდა მიიღოს, რომელიც პრაქტიკულად უზრუნველყოფს მშვიდობასა და უშიშროებას შუა აღმოსავლეთში და ამ რაიონის თითოეული ცალკე სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული ხელშეუხებლობის გარანტია იქნება.

არაბთა სახელმწიფოების ეკონომიური განვითარების საკითხები, ისევე როგორც მთელი რიგი სხვა საშინაო საკითხები, თქვა დასასრულ მაჰგუბმა, ასამბლეამ კი არ უნდა განიხილოს, არამედ არაბთა ლიგამ.

ნეპალის დელეგაციის მეთაურმა რიშიკენ საჰამ თუმცა კი განაცხადა, ჩემს დელეგაციას ამერიკა-ინგლისის მოქმედება შუა აღმოსავლეთში აგრესიად არ მიაჩნიაო, მაგრამ ხაზი გაუსვა იმას, რომ ამერიკისა და ინგლისის ჯარების ლიბანსა და იორდანიაში გადასხმამ ღრმა შეშფოთების გრძნობა აღუძრა ნეპალის ხალხს. იმის აღიარება, რომ ამა თუ იმ მთავრობას ჰქონდეს უფლება მიიწვიოს უცხოეთის ჯარები, თქვა მან, სეროზულად უთხრის ძირს იმ კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების შესაძლებლობას, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მთელი მსოფლიოს მშვიდობას. უცხოეთის ჯარების ჩარევამ ამა თუ იმ ქვეყნის საშინაო საქმეებში, თუნდაც ეს ამ ქვეყნის მთავრობამ ითხოვოს, შეიძლება ნამდვილად ხელი შეუშალოს ხალხებს თავისუფლად აირჩიონ თავიანთი სასურველი მთავრობა.

ტუნისის წარმომადგენელმა მონგი სლიმმა განაცხადა: სავსებით აშკარაა, რომ საჭიროა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჯარები რაც შეიძლება მალე გაიყვანონ ლიბანიდან და იორდანიიდან. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა არაბთა ქვეყნების დამოუკიდებლობის გარანტიები. ტუნისის დელეგატმა თქვა: შუა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნული მოძრაობა მშვიდობიანი გზით განვითარდება, თუ არ ეცდებიან ჩაახშონ ან შეაჩერონ ეს მოძრაობა. მან განაცხადა, რომ ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება იმ დრამის დავიწყება, რომლის შედეგადაც „ალჟირი სისხლში ცურავს“.

ურუგვაის დელეგატმა ქება-დიდება შეასხა „შვიდთა“ რეზოლუციის უკვე დასამარებულ პროექტს. ამასთანავე მან განაცხადა, ჩემი დელეგაცია ხმას მისცემს „ყოველ რეზოლუციას“, რომელიც მისაღები იქნება ასამბლეის უმრავლესობისათვის, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისისათვისაც.

დილის სხდომის დასასრულს მოკლე განცხადება გააკეთა ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. ლუკანოვმა. მან ცხადყო დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ ინსინუაციებისა და გამოხდომების ცილისმწამებელური ხასიათი, რომლებსაც შეიცავდა კუბის დელეგატის პორტუონდოს გამოსვლა გუშინდელ სხდომაზე.

21 აგვისტოს დილის სხდომა

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის დილის სხდომაზე დამთავრდა დისკუსია ახლო და შუა აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკამ და ინგლისმა აგრესია მოახდინეს ლიბანისა და იორდანიის წინააღმდეგ. პირველი გამოვიდა ბელგიის დელეგატი ნისო, რომელმაც ქება-დიდება შეასხა ეგრეთწოდებულ „შვიდთა“ რეზოლუციის პროექტს, რომელიც არსებითად ინგლის-ამერიკის პროექტია. მაგრამ, საერთო აზრით, ამ პროექტს არ უყრიან კენჭს, რადგან არ არის რაიმე შანსი, რომ ხმების საჭირო უმრავლესობა შეაგროვოს. ამასთანავე ცნობილია, რომ არაბთა ქვეყნების რეზოლუციისათვის უზრუნველყოფილია ყველაზე ფართო მხარდაჭერა. ეს პროექტი ჯერ არ შეუტანიათ ოფიციალურად, მაგრამ მისი შინაარსი უკვე ცნობილია. გარდა იმისა, რომ ეს პროექტი არსებითად განსხვავდება „შვიდთა“ პროექტისაგან, მასის გადამწყვეტი უპირატესობა აქვს, რომ მისაღებია არაბთა ყველა სახელმწიფოსათვის. ლიბანისა და იორდანიის მთავრობებმაც კი შეუძლებლად მიიჩნიეს არ დაეჭირათ მხარი ამ პროექტისათვის და, ამიგად, ეკისრნათ პასუხისმგებლობა შემდგომი გათიშვისათვის არაბულ სამყაროში, გათიშვისათვის, რომელსაც კოლონიური სახელმწიფოები თვით არაბთა ინტერესების წინააღმდეგ იყენებენ.

არაბთა ქვეყნების პროექტისათვის ფართო მხარდაჭერა იმდენად აშკარაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციაᲐ იძულებულია ახლა უსიამოვნება არ შეიმჩნიოს. ამერიკის დელეგაციის წარმომადგენელნი აცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების „აკმაყოფილებს“, თუმცა ცნობილია, რომ რამდენიმე დღის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია აცხადებდა, რომ მისთვის ყოველად მიუღებელია რაიმე რეზოლუცია, რომელშიც ამა თუ იმ ფორმით ნახსენებია, რომ საჭიროა შეიარაღებული ძალების „რაც შეიძლება მალე გაყვანა „ლიბანიდან და იორდანიიდან“. აღმოჩნდა რა გენერალურ ასამბლეაზე დამარცხების პერსპექტივის წინაშე და იმ მდგომარეობაში, როცა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის წინააღმდეგ ილაშქრებს არაბთა და აზიის ქვეყნების ჯგუფის თითქმის ყველა დელეგაცია და ლათინური ამერიკის ქვეყნების ნაწილიც კი, ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული არიან უკან დაიხიონ.

სხდომაზე გამოვიდა სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრი მუჰამედ აჰმედ მაჰგუბი, რომელმაც დიდი შეშფოთება გამოთქვა შუა აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის გამო და, კერძოდ, იმასთან დაკავშირებით, რაც ამ რაიონში მოხდა უკანასკნელი თვეების მანძილზე. უკანასკნელი ამბები, ხაზი ვაუსვა მან, უეჭველია საფრთხეს უქმნიან არა მარტო ამ რაიონის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშვიდობასა და უშიშროებას.

სუდანს, როგორც არაბულ სახელმწიფოს, მიაჩნია, რომ არაბული აღმოსავლეთის ყოველი შინაური საქმე უწინარეს ყოვლისა არაბთა ქვეყნების ლიგამ უნდა ვადაწყვიტოს, არაბთა სახელმწიფოებს უნდა მიეცეთ სრული უფლება თვითონ გადაჭრან თავიანთი საქმეები ამ სახელმწიფოთა ხალხების ნება-სურვილის შესაბამისად.

სუდანის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სუდანი განუხრელად იცავს ბანდუნგის კონფერენციისა და აკრის კონფერენციის გადაწყვეტილებებს, რომლებმაც ხაზი გაუსვეს იმ პრინციპს, რომ რომელიმე სახელმწიფო არ ერეოდეს სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში და ყველა სადავო საკითხი მშვიდობიანი საშუალებებით ვადაიჭრას სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველსაყოფად.

სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გენერალური ასამბლეის ახლანდელმა სესიამ ისეთი რეზოლუცია უნდა მიიღოს, რომელიც პრაქტიკულად უზრუნველყოფს მშვიდობასა და უშიშროებას შუა აღმოსავლეთში და ამ რაიონის თითოეული ცალკე სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული ხელშეუხებლობის გარანტია იქნება.

არაბთა სახელმწიფოების ეკონომიური განვითარების საკითხები, ისევე როგორც მთელი რიგი სხვა საშინაო საკითხები, თქვა დასასრულ მაჰგუბმა, ასამბლეამ კი არ უნდა განიხილოს, არამედ არაბთა ლიგამ.

ნეპალის დელეგაციის მეთაურმა რიშიკენ საჰამ თუმცა კი განაცხადა, ჩემს დელეგაციას ამერიკა-ინგლისის მოქმედება შუა აღმოსავლეთში აგრესიად არ მიაჩნიაო, მაგრამ ხაზი გაუსვა იმას, რომ ამერიკისა და ინგლისის ჯარების ლიბანსა და იორდანიაში გადასხმამ ღრმა შეშფოთების გრძნობა აღუძრა ნეპალის ხალხს. იმის აღიარება, რომ ამა თუ იმ მთავრობას ჰქონდეს უფლება მიიწვიოს უცხოეთის ჯარები, თქვა მან, სეროზულად უთხრის ძირს იმ კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების შესაძლებლობას, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მთელი მსოფლიოს მშვიდობას. უცხოეთის ჯარების ჩარევამ ამა თუ იმ ქვეყნის საშინაო საქმეებში, თუნდაც ეს ამ ქვეყნის მთავრობამ ითხოვოს, შეიძლება ნამდვილად ხელი შეუშალოს ხალხებს თავისუფლად აირჩიონ თავიანთი სასურველი მთავრობა.

ტუნისის წარმომადგენელმა მონგი სლიმმა განაცხადა: სავსებით აშკარაა, რომ საჭიროა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჯარები რაც შეიძლება მალე გაიყვანონ ლიბანიდან და იორდანიიდან. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა არაბთა ქვეყნების დამოუკიდებლობის გარანტიები. ტუნისის დელეგატმა თქვა: შუა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნული მოძრაობა მშვიდობიანი გზით განვითარდება, თუ არ ეცდებიან ჩაახშონ ან შეაჩერონ ეს მოძრაობა. მან განაცხადა, რომ ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება იმ დრამის დავიწყება, რომლის შედეგადაც „ალჟირი სისხლში ცურავს“.

ურუგვაის დელეგატმა ქება-დიდება შეასხა „შვიდთა“ რეზოლუციის უკვე დასამარებულ პროექტს. ამასთანავე მან განაცხადა, ჩემი დელეგაცია ხმას მისცემს „ყოველ რეზოლუციას“, რომელიც მისაღები იქნება ასამბლეის უმრავლესობისათვის, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისისათვისაც.

დილის სხდომის დასასრულს მოკლე განცხადება გააკეთა ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. ლუკანოვმა. მან ცხადყო დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ ინსინუაციებისა და გამოხდომების ცილისმწამებელური ხასიათი, რომლებსაც შეიცავდა კუბის დელეგატის პორტუონდოს გამოსვლა გუშინდელ სხდომაზე.

საქართველოს მოსწავლე სპორტსმენთა გრწყინვალე გამარჯვება

ორ კვირაზე მეტხანს საქართველოს დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობდა სსრ კავშირის 15 მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის მოსწავლე სპორტსმენთა დიდი სპორტული დღესასწაული — V საკავშირო სპარტაკიადა. სიჯანმრთელის, ძლიერებისა და სილამაზის ეს ზეიმი აღინიშნა საინტერესო და დაძაბული სპორტული ბრძოლებით. სპარტაკიადის პროგრამამ გათვალისწინებული იყო შეჯიბრება სპორტის 13 სახეობაში. სპარტაკიადა გამოირჩეოდა არა მარტო მაღალი სპორტული შედეგებით, არამედ მასობრიობითაც. მასში მონაწილეობა მიიღო 4 ათასამდე მოსწავლე სპორტსმენმა, აქედან თითქმის ნახევარზე მეტი ქალაქსაკავშირელია, ხოლო 57 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი.

საინტერესო ასპარეზობებში საქართველოს მოსწავლე სპორტსმენებმა სპარტაკიადაზე გამოავლინეს მაღალი სპორტული ოსტატობა და საუკეთესო ფიზიკური მომზადება. შეჯიბრებებში მათ ყველაზე უფრო ნაკლები (87) საჯარიმო ქულა მიიღეს, დაიკავეს პირველი ადგილი და დაიმსახურეს მოსწავლეთა საკავშირო V სპარტაკიადის ჩემპიონის საპატიო წოდება. აღსანიშნავია, რომ ქართველმა გოგონებმა და ჭაბუკებმა შეჯიბრებაში 13 საპრიზო ადგილი მოიპოვეს, აქედან 8 პირველი, 2 მეორე და 3 მესამე ადგილი.

სპარტაკიადის მეორე საპრიზო ადგილი (96 ქულა) წილად ხვდა უკრაინის ნორჩ სპორტსმენებს, ხოლო მესამე — გასული წლის სპარტაკიადის ჩემპიონს მოსკოვის სპორტსმენთა კოლექტივს (120 ქულა).

მიმდინარე სპარტაკიადა მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა. დამყარებულ იქნა 7 ახალი საკავშირო რეკორდი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს წარმომადგენელმა ლ. იეგლევამ ხუთჭიდსა და სიმაღლეზე ხტომაში დაამყარა გოგონთა შორის ორი საკავშირო რეკორდი, ხოლო ი. დიაჩკოვმა — 200 მეტრზე წინააღმდეგობათა გადალახვით რბენაში. სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი კვლავ შეინარჩუნა ნიჰეერმა ტანმოვარჯიშემ მ. ნინოშვილმა.

გუშინ ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში თავი მოიყარეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების, საწარმო-დაწესებულებების წარმომადგენლებმა, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობამ. ისინი მოვიდნენ აქ, რათა დასწრებოდნენ მოსწავლეთა ტრადიციული V საკავშირო სპარტაკიადის საზეიმო დახურვას. სალამო გახსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ლ. დანილოვამ. მან გამარჯვება მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა საქართველოს, უკრაინისა და მოსკოვის მოსწავლე სპორტსმენებს, რომლებმაც საპრიზო ადგილები დაიკავეს.

— ნება მომეცით, — თქვა მან, — მთელი სპარტაკიადის მონაწილეთა სახელით მადლობა გადავუხადო ქალაქ თბილისის მშრომელებს, მოსწავლე ახალგაზრდობასა და სპორტის მოყვარულებს, რომლებმაც დიდი მზრუნველობა და სიყვარული გამოიჩინეს სპარტაკიადის თვითეული მონაწილის მიმართ.

თბილისის მთელი რიგი საწარმოების კოლექტივებმა, რომლებიც შეფობას უწევდნენ სპარტაკიადის მონაწილეებს, ძვირფასი საჩუქრები გადასცეს მათ.

მოსწავლეთა მეხუთე საკავშირო სპარტაკიადის ალმი დაუშვეს სპარტაკიადის ჩემპიონის — საქართველოს გუნდის წარმომადგენლებმა.

* * *

სურათზე: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. დანილოვა გარდამავალ თასს გადასცემს საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ. გ. ჯიბლაძეს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში

ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის ჩატარდა რამდენიმე მატჩი. მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე ადგილობრივმა „ტორპედომ“ ანგარიშით 1:2 დამარცხება განიცადა „შახტიორის“ (სტალინო) ფეხბურთელებისაგან. თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტო კლუბის ფეხბურთელებმა და კიევის „დინამოს“ გუნდის შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. გათამაშებაში ლიდერი მოსკოვის „სპარტაკი“ გამარჯვებული (4:2) გამოვიდა კიშინიოვის „მოლდოვას“ სპორტსმენებთან შეხვედრაში.

ლენინგრადში მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდმა დიდი ანგარიშით 7:2 დაამარცხა ადგილობრივი „ზენიტი“.

„ბ“ კლასი

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის საოლქო სასპორტო კლუბისა და ქ. შახტის „შახტიორის“ გუნდები. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 5:1.

უკრაინელ მოჭადრაკეთა გამარჯვება

ლენინგრადში დამთავრდა ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ქალთა უმეტესი რაოდენობა (72) შეაგროვა უკრაინის კოლექტივმა. მოსკოვის ნორჩმა მოჭადრაკეებმა შეძლეს შეეგროვებინათ 70 ქულა. ლენინგრადის გუნდს 65 ქულა აქვს.

სატურნირო ცხრილში მომდევნო ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: რსფსრ — 62,5 ქულა, საქართველო — 58,5, ლატვია — 55,5, ესტონეთი — 49,5, აზერბაიჯანი — 37,5 ლიტვა — 36,5 და უზბეკეთი — 33 ქულა.

რედაქტორი პ. რატიანი.

ელექტროენერგიის მომხმარებელთა საყურადღებოდ!

ელექტროენერგიით სარგებლობის მოქმედი წესების თანახმად, ახალი მომხმარებლების მომსახურება, მოქმედ ელექტროდანადგართა სიმძლავრის გადიდება და ელექტროენერგიით სარგებლობა 1959 წელს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ენერგეტიკული სამმართველოს „საქენერგოს“ ქსელებიდან აწარმოებს მხოლოდ წინასწარი განაცხადების საფუძველზე.

დაინტერესებული საწარმოები, დაწესებულებები და სხვა ორგანიზაციები, რომლებსაც განზრახული აქვთ ახალ ელექტროდადგმულობათა მოწყობა, არსებულ ელექტროდადგმულობათა სიმძლავრის გადიდება და ელექტროენერგიის მიღება საქენერგოს ქსელიდან, ვალდებული არიან 1958 წლის 1 სექტემბრამდე წარმოადგინონ განაცხადი 1959 წლისათვის და საორიენტაციო ციფრები შემდეგი ორი წლისათვის ობიექტების დასახელებით, მათი ადგილმდებარეობის, საჭირო სიმძლავრის, საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადის და ელექტროენერგიის ყოველთვიური მოხმარების აღნიშვნით.

განაცხადები წარმოდგენილ უნდა იქნას საქენერგოს ენერგოგასაღებაში: ქ. თბილისი, რუსეთის ქ. № 1. იქვე შეიძლება განაცხადის დაბეჭდილი ფორმების მიღება.

იმ ელექტროდადგმულობებზე, რომლებიც ახდენენ ელდადგმულობათა გადიდება ან ელექტროენერგიით სარგებლობა სამმართველოს „საქენერგოს“ ქსელებიდან აწარმოებს მხოლოდ წინასწარი განაცხადების საფუძველზე.

ელექტროენერგიის ახალი მომხმარებლები ან ის მომხმარებლები, რომლებიც ახდენენ ელდადგმულობათა გაფართოებას ან რეკონსტრუქციას, ვალდებულნი არიან გარდა განაცხადების წარმოდგენისა, მიიღონ ენერგოსისტემაზე მიერთების ტექნიკური პირობები და წარმოადგინონ საქენერგოს ენერგოგასაღებაში ელექტროდადგმულობათა პროექტები შესათანხმებლად.

საქენერგოს ენერგოგასაღება.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

1958-59 წლების სეზონისათვის

თეატრი უშვებს

აბონემენტთა

სერიას. თითო აბონემენტში შედის 10 სპექტაკლი, რომლის ფასი დაკლებულია 10 პროცენტით ნომინალურ ფასთან შედარებით.

ა) აბონემენტში შედის საოპერო და საბალეტო სპექტაკლები, აგრეთვე სპექტაკლები განახლებული დადგმებით.

ბ) ყოველ აბონემენტში შედის ბალეტი **„ოტელო“** სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატის **ვ. ვ. ვაშუკინის** მონაწილეობით, აგრეთვე ერთი სპექტაკლი **ბასტროლიორის** მონაწილეობით.

აბონემენტი გაიყიდება ნაღდ ანგარიშზე თეატრის სალაროებში და თეატრის რწმუნებულების საშუალებით ა. წ. 1 სექტემბრიდან.

მიიღება შეკვე